# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 თებერვალი 2003 №20 (1791) | ფასი 50 თეთრი


საქართველოს საქმის ქვეყანაა

## ფეხბურთიც საკანცელარიო საქონელია

სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ კვლავაც შეიკრიბნენ 12 ოქტომბერს „ლოკომოტივზე" მომხდარი ავარიის შედეგების გამოსწორებაზე თავდადებული საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ჩინოსნები და ორსაათნახევარი ფეხბურთზე და ფულზე ილაპარაკეს — უფრო ფულზე.

ავარიის შედეგების გამოსწორება და მატჩის ჩამთავრება 12 ოქტომბერსვე შეიძლებოდა და მაშინ ამაზე არავინ იზრუნა, პოდა, რაღა გასაკვირია, რომ განსაკუთრებულს არც გუშინდელი დღიდან ველოდით.

სხდომაზე მიწვეულ ჟურნალისტებს ბოლო წამს კარი მოგვიხურეს, საქმიანი შეხვედრა გვაქვს და აჯობებს, სხდომა დახურული იყოსო. გამოდის, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებული პირველი საკანცელარიო შეხვედრა, რომელსაც მედიელებიც ესწრებოდნენ, არასაქმიანი და გასართობი ყოფილა.

გართობის რა მოგახსენოთ და, გუშინდელ სხდომაზე მხოლოდ ის გადაწყდა, რომ საერთო ენის გამოსანახად, ანუ იმის გასარკვევად, თუ ვისი გადასახდელია რუსთა ხელმეორედ სამასპინძლო თანხა, კიდევ ერთი შეხვედრაა საჭირო. საფეხბურთო პრობლემებით გულდამძიმებული ხალხი ორშაბათს უკვე ფედერაციაში შეიკრიბება სუპერსაქმიან ვითარებაში.

ახალი კი მხოლოდ ის ითქვა, რომ „ორთავა არწივი" 28 აპრილის ნაცვლად 29-ში გვეწვევა, ხოლო გადასახდელი თანხა 300 ათასის ნაცვლად 200 ათასი ლარია.

მიუხედავად ასეთი გაურკვევლობისა, თელასის, ფედერაციის, რკინიგზის დეპარტამენტისა და სახელმწიფოს ჩინოსნები წარბშეუხრელად აცხადებენ, რომ ყველაფერი იდეალურად მოგვარდება და რუსეთს სანიმუშოდ გავუმასპინძლდებით.

იციან საქმის კეთება საქართველოში...



## პრეზიდენტს პრეზერვატივი გაეხა

თევზი რომ თავიდან ყარს, საქართველოში ყველამ კარგად უწყის. თევზის თავის ამბავი თურმე კატალონიაშიც კარგად იციან და ჩვენგან განსხვავებით სიტყვის საქმედ ქცევაც ეხერხებათ. წამხდარი „ბარსელონას" ნირწამხდარმა კატალონიელმა ქომაგებმა შეძლეს და „ბარსელონას" პრეზიდენტ ხუან გასპარს გადადგომა აფიქრებინეს. არც იმის დავიწყება ეგების, რომ ამ საქმეში ქომაგთა გარდა კლუბის ვიცე-პრეზიდენტებისა და დირექტორატის წევრთა წონიანმა სიტყვამაც დაიგუგუნა. გასპარი გადადგომაზე 1 მარტს გასამართ კლუბის ასამბლეაზე განაცხადებს — იყავ ნება ხალხისა!

## შუშაკმა ქართველებს ხორვატიულად აგინა

ერთ მალხაზ ასათიანს ვინ ჩივის, ვინძლო, თბილისის „დინამოს" ათი ასათიანი დასჭირდეს. საქმე ისაა, რომ ბოსნიურ მეჩგორიეში შეკრებილ თბილისელთა ნახევარი ივო შუშაკმა ლამის დაიფრინა. გუშინწინ „შიროკი ბრიაგთან" 0:3 წაგების მერე ხორვატი მწვრთნელი ისე გაცხარებულა, ისეთი სიტყვები დაუხვავებია, დინამოელებს პირი დაუღიათ.

## შერიფი და არიფი: ცქიტიშვილს კინაღამ ესროლეს

საოცარი დღე იყო, რაც ვესროლე, თითქმის ყველა ჩავაგდე...

მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა გამომიჭირეს და კარგა ხანს არ გამიშვეს.

შაკი ჩასატენად წამოვიდა, ერთი კი ვიფიქრე, დავუფარებ-მეთქი, მაგრამ შეიძლებოდა, ეს ამბავი ჩემი კარიერის დასრულებით დამთავრებულიყო და განზე გავდექი.

დირკ ნოვიცკისთან და შონ ბრედლისთან ბრძოლაში თვალი ჩამილურჯდა...

„მაიამი" დენვერში რომ ჩამოვიდა, სასტუმროში მივედი სტეფანიასთან, სახლში მივიპატიჟე და ქართულად წავიქეიფეთ.

შევეცადე ჯორდანის გაჩერებას, მაგრამ იოლად მომატყუა, ფართან პირისპირ დარჩა და... აცილა.

არხეინად გადმოვედი მანქანიდან და პოლიციელისკენ წავედი. უცებ იარაღი დააძრო და დამიმიზნა, არ გაინძრე, თორემ გესვრიო...




ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე

*ორიოდ დღის წინ ქუთაისის „ტორპედოს“ ვახტანგ აკოფიანი ერევნის „პიუნიკში“ გადაბარგდა. ამაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, აკოფიანს სომხეთის მოქალაქეობა და იქაურ ეროვნული ნაკრებში მიწვევაც რომ არ მიეღო. ჯაცმა რომ თქვას, აკოფიანის საქციელში დასაძრახი არაფერია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მის სომხურ წარმომობას, მაგრამ ქართველ ფეხბურთელთა სხვა ქვეყნის ნაკრებში გადაბარგების ფაქტებიც ბლომად მოიძებნება და ურიგო არ იქნება მათი გახსენება.*

# პასპორტი

## რუსეთი

### ომარ თეთრაძე

ყველაზე დიდი დანაკლისი უდავოდ ომარ თეთრაძეა. ჭეშმარიტად ბედის ირონიაა დმანისელი ბერძენი ნაცვლად იმისა, რომ ისტორიულ სამშობლოს დაბრუნებოდა, ანაც იქ დარჩენილიყო, სადაც შობილა და გაზრდილა, უცხო ქვეყანამ შეიკედლა და იმსახურა.

თეთრაძეს ახალი დროის ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ მოუწია ესენგესა თუ რუსეთის ნაკრების ღირსების დაცვა. 39 მატჩში, რომელშიც ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი და ფინალური ეტაპების შეხვედრათა გარდა არაერთი ამხანაგურიცაა, ომარმა 1 გოლი გაიტანა.

თეთრაძემ საბერძნეთის წინაშე ვალი მაინც მოიხადა, პაოკ-ში თამაშისას ბერძნულ ჯარშიც იმსახურა, აი, საქართველოში კი მის სამსახურზე უარი თქვეს და თავად თეთრაძე, აბა, ვის მისძალებია.

### ახრიკ ცვეიბა

გუდაუთელი ახრიკ ცვეიბაც უნიკალური მიღწევის ავტორია. თბილისის დინამოში სსრკ, სნგ, უკრაინა, რუსეთი: ეს იმ ნაკრებთა ჩამონათვალია, რომელთა რიგებშიც ცვეიბას უთამაშნია. ეჰაა, რუსეთი სნგ-ს და სსრკ-ს სამართალმემკვიდრეა და ამ სამი გუნდის სტატისტიკაც საერთოა: ცვეიბას ანგარიშზე 34 მატჩი და 1 გოლია. უკრაინის ნაკრებში კი ცვეიბამ მხოლოდ არაოფიციალურ მატჩში ითამაშა უნგრეთის წინააღმდეგ 1991 წელს, ანუ მაშინ, როცა უკრაინა ჯერ კიდევ არ იყო ფიფას წევრი. ამან რუსებს საშუალება მისცა ცვეიბა ისევ სათავისოდ დაეგულებინა და კიდევ რვაჯერ დაეჭირვა მისი სამსახური.

### ბახვა თედეევი

ცხინვალელი ბახვა თედეევი თბილისის „დინამოში“ აღიზარდა, თუმცა კარიერის უმეტესი ნაწილი ჩრდილოოსურ „ალანიაში“ გაატარა, რომლის მოთამაშე მწვრთნელიც შარშან იყო. ქართველებს თედეევის სანაკრებოდ გამოძახება რომც ეცადათ, დაგვიანებულიც იქნებოდა. რუსებმა საკუთარი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჯერ კიდევ 1993 წლის დასაწყისში მიითვისეს.

### ჯამბულატ ბაზაევი

რუსთაველი ჯამბულატ ბაზაევი, რომელმაც „ალანია“ მხოლოდ შარშან ზაფხულში გაცვალა „ზენიტზე“, ასევე ქართული ფეხბურთის დაფრთიანებულია, თუმცა რუსეთს ადრევე 1996 წლიდან გადაბარგდა და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ჭაბუკთა ნაკრების მაისურაც დროულად მიირგო.

ბაზაევს თბილისში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგაც უთამაშია 1999 წელს, როცა რუსეთი სწორედ მისი გოლით დაუზავდნენ მამუკა წერეთლის პენალტით დაწინაურებულ ქართველებს.

### გიორგი მიქაძე

ქართულ ფეხბურთში იმდენი გიორგი მიქაძეა, მათი განსხვავება არამარტო ინიციალით, მამის სახელებითაც გვიხდება. გიორგი გენადის ძე მიქაძის ოჯახი მაშინ გადასახლდა ქუთაისიდან ადლერში, როცა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ამჟამინდელი წევრი 11 წლისა იყო. ადლერიდან კრასნოდარში, მერე კი ნოვოროსიისკში მოხვედრილმა ქართველმა ყმაწვილმა რუს 19-წლამდელთა რიგებში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ითამაშა, ამჟამად კი არამარტო რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე, ვალერი გაზაევის ნაკრების კანდიდატიცაა.

## საბერძნეთი

### ანდრეას ნინიადისი

თბილისის „ნორჩ დინამოელში“ რევაზ გაგუას აღზრდილი ანდრო კიურჯიევი ყველაზე ხმაურიანი სამშობლოგამოცვლილია. უფრო სწორად, თუ ვინმე ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა, პირველ რიგში სწორედ კიურჯიევი, რომელიც ნინიადისად მოინათლა და საბერძნეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა. ნინიადისის 17 სანაკრებო მატჩში 2 გოლი) ერთი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ნათამაშევია. თბილისში ბოსკამპის დამოძღვრილ ქართველებს სწორედ მისმა აქტიურმა თამაშმა და საგოლე ჩაწოდებამ მოუღო ბოლო.

სხვათა შორის კიურჯიევი საბერძნეთში წასვლამდე საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატიც გახლდათ და მაშინდელ თბილისის „იბერიასთა“ ნაკრების შემადგენლობაში კიდეც ითამაშა ამხანაგურად.

### ალექსანდროს პაპადოპულოსი

დედით ბერძენი დავით კასპელაშვილი საბერძნეთის 19-წლამდე ნაკრების წევრია და უკვე ითამაშა 17-წლამდელთა წინა შესარჩევ ტურნირში. კასპელაშვილი საფეხბურთო კლუბ „შევარდენში“ მწვრთნელ ირაკლი ოქროშიძესთან აღიზარდა და საბერძნეთში მანამდე წავიდა, ვიდრე ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში მოუწევდა. ცხადია, კასპელაშვილის თაობაზე ჩვენში ბევრს არ გაუგია.

## ისრაელი

### ბენი კოზოშვილი

ისრაელში ნათამაშევ ქართველ ლეგიონერთა მონათხრობით კოზოშვილი საქართველოდან ასულ ებრაელთა ოჯახის აღთქმულ მიწიზევე დაბადებული შვილია. კოზოშვილი საფეხბურთო სამყაროში ყველაზე ცნობილი ქართველი ებრაელია, რომელსაც ოთხი უგოლო მატჩი გაუმართავს ისრაელის ეროვნულ ნაკრებში. სხვათა შორის, კოზოშვილს 1990 წლის 9 ოქტომბერს მოსკოვში სსრკ-ს ნაკრების წინააღმდეგ უთამაშია და იმ დღეს საბჭოელთა მხრიდან ებრაელთა მეტოქე აფხაზი ახრიკ ცვეიბაც იყო.



ბადრი კვარაცხელია (№11) ლევან სილაგაძის პირისპირ

## უკრაინა

### დენის ადლეიბა

გეხსომებათ, ამასწინათ ოთარ კორღალიძის გაწვრთნილებმა თანატოლი უკრაინელები შინ პირშიჩალაგამოვლებულები რომ გაისტუმრეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მინიტურნირიდან.

სოხუმელი დენის ადლეიბა სწორედ უკრაინელ ცხრამეტწლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში სტუმრობდა საქართველოს. ეს ტანმორჩილი აფხაზი ნახევარმცველი სულ ორიოდ წელია, რაც უკრაინულ გუნდში მოხვდა და უკვე კიევის „დინამოს“ თადარიგში თამაშობს.

## აზერბაიჯანი

### ბადრი კვარაცხელია

ამ მართლაცდა საფეხბურთო გვარის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია სამშობლოშიც და მის გარეთაც.

თავისთავად გასაოცარია კვარაცხელიას რეკორდიც. გამორიცხულია არ არის, ფიფას საგანგებო სამსახურს, რომელიც სანაკრებო მოთამაშეთა სტატისტიკას ადევნებს თვალყურს, კვარაცხელია მოწინავეთა შორის ჰყავდეს.

კვარაცხელიას დებიუტი საქართველოსთან უგოლო ფრისას შედგა. იმ დღეს 35 წლის, 3 თვის და 20 დღის იყო. ასეთ ასაკში კი მოთამაშეს ეროვნულ გუნდში ძნელად თუ იწვევენ, მით უმეტეს პირველად.

ბადრიმ კიდევ ორჯერ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში დაიცვა ახალი სამშობლოს ღირსება, როცა აზერბაიჯანმა შვედეთთან შინ 0:1 წააგო, მაკედონიასთან სკოპიეში კი 0:3.

### რამინ ნასიბოვი

გარდაბანში დაბადებულ-გაზრდილი ბაქოს 10 წლის ასაკში გადაიხვეწა. ადრე ბაქოს „შაფას“, ამჟამად კი მოიკ-ის მარჯვენა ნახევარმცველს ჯერ მხოლოდ აზერბაიჯანის 18-წლამდე და ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია.

მართალია, ნასიბოვი საქართველოდან იმაზე ადრე წავიდა, ვიდრე ფეხბურთს სერიოზულად ეზიარებოდა, მაგრამ აქაური დამღა ალბათ ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება.

ნასიბოვი? გამიგია, „შაფაში“ თამაშობდა, აზერბაიჯანელები „ბიჩოს“ ეძახიანო, გვითხრა ბადრი კვარაცხელიამ.

## თურქმენეთი

### კახა გოგოლაძე და გიორგი ტყავაძე

გეხსომებათ, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თურქმენეთის ნაკრებს ელგუჯა გუგუშვილი წვრთნიდა. სწორედ გუგუშვილის მიწვევით თურქმენულ „კოპედდაღში“ რამდენიმე ქართველი ირჯებოდა, რომელთაგან ორნი ეროვნულ ნაკრებშიც ათამაშა. თუკი ბუბა ტყავაძის თურქმენული კარიერა მაშინდელი შესარჩევის ოდენ 5 მატჩით და 2 გოლით ამოიწურა, გოგოლაძე დღემდე განაგრძობს ახალი სამშობლოსთვის გარჯას და იქვე, მეზობლად ყაზახურ კლუბში მოთამაშეს თურქმენეთის ნაკრებისთვისაც გააქვს-ხოლმე.

## ყაზახეთი

### დავით ლორია

ასტანის „ჟენისის“ პრეზიდენტის ვაჟი და მისი კლუბის მეკარის, დავით ლორიას პირველი გაელვება მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა იყო, თუმცა მისი კარიერაში მანამდეც საკმაოდ მდიდარი იყო საინტერესო მოვლენებით.

ლორიამ, რომელიც ყაზახეთის ამჟამინდელ დედაქალაქ ასტანაში, ყოფილ ცელინოგრადშია დაბადებული, თამაში იქვე დაიწყო, მაგრამ პირველი პროფესიული სეზონი ავსტრალიაში ჰქონდა. ადელაიდის „ენფილდ სიტის“ მეკარეს ავსტრალიის სამხრეთ შტატების რეგიონული ნაკრების ღირსებაც დაუცავს, ყაზახეთის ახალგაზრდული, ოლიმპიური და ეროვნული გუნდისაც. უპირველესი გუნდის კარი ლორიამ 3 მატჩში დაიცვა, აქედან ორჯერ ამხანაგურ შეხვედრაში. 2000 წელს, როცა მისმა „ჟენისმა“ ყაზახური დუბლი მოიგო, ქვეყნის საუკეთესო მეკარედ დასახელდა.

## უზბეკეთი

### თემურ კოპაძე

კოპაძე, რომელიც შარშანწინ და შარშან ზედიზედ გახდა უზბეკეთის ჩემპიონი ფერღანის „ნეფთჩის“ და ტაშკენტის „ფახთაქორის“ შემადგენლობაში, ამ შუააზიური ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრია.

მაგრამ რაკი, კოპაძე ახალგაზრდულის ასაკიდან გამოდის, ცხადია, ეროვნული ნაკრების კარს მიუკაკუნა.

რავშან ჰაიდაროვმა კოპაძე ერთხელ უკვე გამოიძახა შარშან 14 მაისს სლოვაკეთთან სათამაშოდ. თუმცა პრეშოვში თემურის საქმეში ნახვა არ მოხერხდა.

უზბეკურ ნამანგანის „ნოვბაჰორში“ ორიოდ წლის წინ დიმიტრი კოპაძეც თამაშობდა, რომლის ნათესაური კავშირი თემურთან დაუდგენელია.

## ყირგიზეთი

### რევაზ ჩაველაშვილი

რევაზ ჩაველაშვილი, რომელიც ყაზახური ბიშკეკის სკა-პვო-ს მოთამაშეა, ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს, შესაძლოა, ახსოვდეს ბოლო ორი ესენგეს თასიდან. მით უმეტეს, ჩაველაშვილს წლეულს საქართველოს ჩემპიონ „ტორპედოსთან“ მოუწია თამაში.

ყირგიზეთში ქართულ ლეგიონს დიდი ფესვები ჰქონდა. იქ უთამაშიათ ჯამბულ შონიას, მანუჩარ გოგუას, ვლადიმერ ყალიჩავას, გოჩა ხვიჩიას, ჯონი შალამბერიძეს, იმ სეზონში, როცა ჩვენში დისკვალიფიცირებული იყო და მიხეილ ჯიშკარიანის უცნობ სეხნიას. თუმცა რევაზ ჩაველაშვილი ყირგიზურ ლიგაში რომ გამოჩნდა, ყველა უკვე სამშობლოში იყო შონიას გარდა, რომელმაც კარიერა მოთამაშე მწვრთნელობით დაასრულა.

ჩაველაშვილი, რომლის დაბადების ადგილი ჩვენთვის უცნობია, ყირგიზეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და აზიის 20-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მონაწილეა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დენის | ადლეიბა | 20.09.85 | სოხუმი | ბორისფენი/UKR, დინამო-2 კიევი/UKR |
| ვახტანგ | აკოფიანი | 15.08.75 | წალკა | ქართლი, მესხეთი, ცხინვალი, დილა, ტორპედო, პიუნიკი/ARM |
| ჯამბულატ | ბაზაევი | 18.08.79 | რუსთავი | მოზდოკი/RUS, ალანია/RUS, ზენიტი/RUS |
| კახაბერ | გოგოლაძე | 04.09.68 | თბილისი | მერანი-ბაჩო, გურია, შევარდენი, კოპეტდაღი /TKM, ვიტ ჯორჯია, ნასაფი ყარში/UZB, ლოკომოტივი, ერევანი/ARM, კილიკია/ARM, სიონი, დინამო, ირტიში პავლოდარი/KAZ |
| ბახვა | თედეევი | 18.09.69 | ცხინვალი | დინამო, სპარტაკი ვლადიკავკაზი/RUS, ლოკომოტივი მოსკოვი/RUS, ალანია/RUS |
| ომარ | თეთრაძე | 13.01.69 | ველისპირი | დინამო, მერცხალი, დინამო მოსკოვი/RUS, სპარტაკ-ალანია/RUS, რომა/ITA, პაოკ/GRE, ალანია/RUS |
| თემურ | კოპაძე | 05.09.81 | ფერღანა | ნეფთჩი ფერღანა/UZB, ფახთაკორი/UZB |
| ბადრი | კვარაცხელია | 15.02.65 | ნაკიფუ | სქური, დინამო, კახეთი, მეტალურგი რუსთავი, შსს-აკადემია, მერანი, ქიაფაზი/AZB, შამქირი/AZB |
| ბენი | კოზოშვილი | 19.09.67 | ? | ჰაპოელი ფეთაჰ თიქვა/ISR |
| დავით | ლორია | 31.10.81 | ასტანა | ენფილდ სიტი ადელაიდა/AUS, ცელინიკი აკმოლა/KAZ, ავტომობილისტი შორტანდი/KAZ, ჟენისი/KAZ |
| გიორგი | მიქაძე | 03.10.83 | ქუთაისი | ცენტრ კავკაზი კრასნოდარი/RUS, ჩერნომორეცი-2/RUS, სატურნი/RUS |
| რამინ | ნასიბოვი | 20.11.79 | გარდაბანი | შაფა/AZB, მოიკ/AZB |
| ანდრეას | ნინიადისი | 17.02.71 | თბილისი | სტუ, ბათუმი, ვერია/GRE, ეთნიკოსი პირეოსი/GRE, ოლიმპიაკოსი/GRE |
| ალექსანდროს | პაპადოპულოსი | 17.01.85 | თბილისი | საფეხბურთო სკოლა შევარდენი, ?/GRE |
| გიორგი | ტყავაძე | 21.11.61 | თბილისი | შევარდენი, ტორპედო, მრეტები, ჰაპოელი ლოდი/ISR, სამტრედია, კოპეტდაღი /TKM, სიონი |
| რევაზ | ჩაველაშვილი | ??.??.84 | ? | სკა-პვო ბიშკეკი/KGZ |
| ახრიკ | ცვეიბა | 10.09.66 | გუდაუთა | დინამო, დინამო კიევი/UKR, კამაზი/RUS, გამბა ოსაკა/JPN, ალანია/RUS, ურალანი/RUS, დინამო მოსკოვი/RUS |

# შუშაკმა ნახევარი დინამო დაიწუნა

## თბილისელები ბოსნიურ პოლიგონზე



ივო შუშაკი

**ბოსნიურ მეჩგორიეში** მოსამზადებლად მყოფ თბილისის „დინამოს" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაეშალა, უფრო სწორად, თბილისელთა ხორვატმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა ჩაშალა. გუშინ „დინამო" ხორვატიულ „მეტალკა ოსიეკს" უნდა გაჯიბრებოდა, მაგრამ ჩვენიანთა მწვრთნელი „დინამოს" პირობითად მეორე შემადგენლობის საქმისადმი არაპროფესიული მიდგომით აღშფოთებულა და დაგეგმილ მატჩზე უარი უთქვამს. ცნობისთვის, გუშინწინ „დინამო" მასპინძელს „შიროკი ბრიაგს" გაეჯიბრა და 0:3 დამარცხდა. ეს შეხვედრა სწორედ მეორე შემადგენლობამ დაიწყო და გოლებიც პირველსავე ტაიმში გავიდა. შუშაკი კი, რომელმაც შესვენების შემდეგ ძირითადი შემადგენლობა ათამაშა, მატჩის საბოლოო ანგარიშს ისე არ გაუნაწყენებია, როგორც სათადარიგოთა თამაშისადმი აგდებულ დამოკიდებულებას.

— „მეტალკა ოსიეკთან" დაგეგმილი მატჩი ჩემი მოთხოვნით ჩაიშალა. „შიროკი ბრიაგთან" შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ვცდებოდი, თურმე ამდენი ხანი თავის გამოვლენისთვის ყველას ერთნაირი შანსი არ უნდა მისცე. მე კი „დინამოს" მწვრთნელად დანიშვნიდან დღემდე, ყველას თანაბრად ვაძლევდი თავის პოტენციის წარმოჩენის საშუალებას. „შიროკი ბრიაგთან" შეხვედრის შემდეგ იმასაც ვიტყვი, რომ „დინამოს" შემადგენლობები ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. „შიროკი ბრიაგთან" ნათამაშევი პირველი ტაიმის შემდეგ ვიფიქრე, რომ ამ ფეხბურთელებთან მუშაობას აზრი არ აქვს, შრომა წყალშია ჩაყრილი. კმაყოფილი ვარ კვირკველიას თამაშით და იაშვილის მონდომებით, დანარჩენთა შეფასება მიჭირს. ასევე გამიჭირდება მომავალში მათ „დინამოს" მაისურა მივცე და ვათამაშო. „დინამო" ექსპერიმენტების ჩასატარებელი პოლიგონი არაა. მხოლოდ საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება და თამაშის მაღალი ხარისხი — აი, ესაა ჩემი ამომავალი წერტილი. ფეხბურთელი თუ ამას ვერ დამანახებს, ძირითად შემადგენლობაში კი არა, გუნდში არ გავაჩერებ. მეჩგორიეში ასევე დავრწმუნდი, რომ „დინამოს" 13-14 ფეხბურთელი სწორ გზაზე დგას. ძალიან კმაყოფილი ვარ „მარიბორთან" შეხვედრით. რა თქმა უნდა, შენიშვნები ამ 13-14 ფეხბურთელთანაც მაქვს. სწორედ ახლაა შეკრების გადამწყვეტი მომენტი. სწორედ ეს ბოსნიური ტურნირი დაგვანახებს, რამდენად სერიოზულია ფეხბურთელთა საქმისადმი დამოკიდებულება, ვინ არიან გუნდში საუკეთესონი, რომლებზეც შეიძლება სამომავლოდ აქცენტის გაკეთება. კარგი მოედანი, სავსე ტრიბუნა, ძლიერი მეტოქენი — ყველა პირობაა საიმისოდ, რომ „დინამომ" კარგად ითამაშოს და ქომაგები თავის ძალაში დაარწმუნოს — თქვა თბილისის „დინამოს" მწვრთნელმა ივო შუშაკმა.

დაგვეთანხმებით, მწვრთნელის ასეთი განცხადების შემდეგ გუნდში საქმეს მთლად აწყობილი ვერ ეთქმის. ვითარებაში უკეთ გასარკვევად კი „დინამოს" პრესსამსახურის უფროსს ლევან სალუქვაძეს ვკითხეთ:

— შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თბილისში დაბრუნებული ივო შუშაკი ნახევარ „დინამოს" გაათავისუფლებს?

— მწვრთნელი ჯერჯერობით თავს იკავებს ამ თემაზე საუბრისგან, თუმც არაა გამორიცხული, გარკვეული ხნის შემდეგ ივო შუშაკმა გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები მოახდინოს.

ლევან სალუქვაძის თქმით, გუშინწინ „შიროკი ბრიაგთან" დაშავებული ლადო ბურდული ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. ბურდულმა გუშინ გუნდისგან ცალკე ივარჯიშა და ჯერ უცნობია, საერთაშორისო ტურნირის მატჩებში, რომელიც დღეს უნდა დაიწყოს, ითამაშებს თუ არა.

**კობა ინასარიძე**

# ქოჯაელს დოპინგი მიართვეს

## საფოსტო ყუთში შოთაც ჩააგდეს



გიუვენჩ ქურთარი

**დღეს** ქოჯაელის „იზმეთ ფაშას" სტადიონზე შავ-მწვანე დროშების ალლუმი იქნება. „ქოჯაელისფორი" სტამბოლის „ბეშიქთაშს" უმასპინძლებს და იმ გუნდის დამარცხებას შეეცდება, აგერ, თითქმის წელიწადის განმავლობაში, წაგების გემო რომ არ იცის.

მასპინძლები ცხრილის ბოლოში მოყუჩებულან, სტუმრები — თავში. თურქული სპორტული პრესის აზრით, „ბეშიქთაშს" გამარჯვება არ გაუჭირდება, თუმც სულ სხვაგვარად ფიქრობს „ქოჯაელისფორის" მთავარი მწვრთნელი გიუვენჩ ქურთარი: „ზამთრის შესვენება გუნდს აშკარად წაადგა და ახალი ფეხბურთელებიც დავიმატეთ. „ბეშიქთაშს" ყველა იოლ მოგებას უწინასწარმეტყველებს, რადგან მირჩა ლუჩესკუს გუნდი მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია, მაგრამ ჩვენ ბრძოლას ვაპირებთ და იოლად არაფერს დავთმობთ, ქულებიც ხომ ჰაერივით გვჭირდება. ჩვენი გულშემატკივრების ძალიან მეიმედება. თუ ფეხბურთელებმა დავალება შეასრულეს და ქომაგიც დაგვეხმარა, არ გამოვრიცხავ, რომ „ბეშიქთაში" უქულოდ დაბრუნდეს სტამბოლში".

გულშემატკივრების გასაგებია, მაგრამ მოედანზე ვისი იმედი აქვს ქურთარს? „ქოჯაელისფორის" ხომ 1998 წლის 5 აპრილის შემდეგ „ბეშიქთაშისთვის" შინ არ მოუგია. ზამთრის შესვენებისას შეძენილ რვა ფეხბურთელს შორის ოთხი ქართველია: გივი დიდავა, გია იმედაძე, რევაზ ქემოკლიძე და ზაზა ჯანაშია. ჯანაშია ჯერჯერობით წონაში დასაკლებად ვარჯიშობს, ამიტომ ძირითადში მისი გამოჩენა გამორიცხულია. ქურთარი „ბეშიქთაშთან" სამი მცველით თამაშს აპირებს, რამაც რეზო ქემოკლიძის შანსები შეამცირა და მწვრთნელი ძველებს ენდობა. რაც შეეხება გივი დიდავას და გია იმედაძეს, გიუვენჩ ქურთარს ისინი საკონტროლო მატჩებიდანვე მოსვლია თვალში და დიდავას ხუთკაციანი ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გამწესებას უპირებს. გია იმედაძეს თავდასხმაში სამი კონკურენტი ჰყავს — ქი ჰუსეინი და ორი ბულგარელი ლეგიონერი.

გუშინ დილიდან „ქოჯაელისფორი" დახურულ ვარჯიშზე გადავიდა. ამიტომ მწვრთნელი დღეს გაარკვევს იმ 11 ფეხბურთელის ვინაობას, რომლებიც „ბეშიქთაშს" დაუპირისპირდებიან.

ამასობაში კლუბის პრეზიდენტი ჰიქმეთ ერენკაია ფეხბურთელებს სიურპრიზს უმზადებს. ერთ-ერთი ფეხბურთელის ტრანსფერიდან 150 ათასი დოლარი მიუღიათ და მატჩის წინ მოთამაშეებს დოპინგის ნაცვლად ხელფასს ჩამოურიგებენ. იმ შემთხვევაში, თუ „ქოჯაელი" „ბეშიქთაშს" წაუგებელ სერიას შეაწყვეტინებს, ჰიქმეთ ერენკაიას კიდევ 100 ათასი პრემიის სახით აქვს გამზადებული და, როგორც უთქვამს, ფულს გასახდელში დაარიგებს საკუთარი ხელით.

ქართველ ფეხბურთელებს უკვე ნომრიანი მაისურები ჩამოურიგეს. ქემოკლიძეს 2-იანი ერგო, იმედაძეს — 10, ჯანაშიას — 18, დიდავას — 44. კლუბში გულშემატკივრებისგან მრავალი წერილი მიდის. ბევრ მათგანს ქართველებისა განსაკუთრებით ეიმედება. ერთი იმასაც კი წერს, ხომ შეიძლება, რომელიმე მათგანი შოთასავით ათამაშდესო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იმედაძემ ჯანაშია თურქულად აწონა

*დღეს თურქულ ჩემპიონატში რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გამოჩნდება ქართველი ფეხბურთელი. გივი დიდავას, რევაზ ქემოკლიძის, გია იმედაძის და ზაზა ჯანაშიას „ქოჯაელისფორი" ლიდერ „ბეშიქთაშს" დაუხვდება.*

*თურქულ სუპერლიგაში ჯერაც დაუმარცხებელი „ბეშიქთაში" იზმითშიც მოგებას გეგმავს, თუმც არც ცხრილის ფსკერზე დალექილი „ქოჯაელისფორი" აპირებს ფეხის ფეხზე გადადებას.*

*მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებული ამხანაგური მატჩების შემდეგ თურქებმა ქართველებს ლიდერობა უწინასწარმეტყველეს და ამაში, ალბათ, დღეს დავრწმუნდებით.*

*გუშინ იზმითში გია იმედაძეს დავუკავშირდით*

**— როგორ მოეწყვე თურქეთში, ხომ არ გაგიჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება?**

— თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ჯერჯერობით არაფერს ვუჩივი. თან, როგორც იცით, ოთხი ქართველი ერთად ვართ და ესეც გვიიოლებს საქმეს.

**— საბოლოოდ გადაწყდა, რომ ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ" „ქოჯაელისფორში" გაგანათხოვრა?**

— დიახ, თურქეთში სეზონის ბოლომდე ვითამაშებ. მერე რა მოხდება, არ ვიცი.

**— პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა.

**— ბინა მოგცეს თუ ისევ სასტუმროში ხარ?**

— არა, ქართველები ბაზაზე ვცხოვრობთ. ალბათ, აქვე დავრჩებით.

**— ბოლო ამხანაგური მატჩი მაღალ დონეზე გითამაშია...**

— საკუთარ თავზე აბა, რა გითხრათ. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია.

**— ამდენი ხნის უთამაშებელს არ გაგიჭირდა?**

— მართალია, კარგა ხანია, ოფიციალური მატჩი არ მითამაშია, მაგრამ ვფიქრობ, არ გამიჭირდება. თანაც გუნდთან ერთად საწვრთნელი შეკრებაც გავიარე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. უბრალოდ, სათამაშო პრაქტიკა მჭირდება და იმედი მაქვს, მალე ამასაც ეშველება. როგორც იქნა, გუნდი ვიპოვე და ახლა მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ.

**— დღეს „ბეშიქთაშს" ეთამაშებით...**

— ძალიან რთული მატჩი გველის. „ბეშიქთაში" თურქეთში დღემდე დაუმარცხებელია და, ალბათ, ჩვენთანაც არაფერს დათმობს. „ქოჯაელისფორს" კი დასაკარგი არაფერი აქვს. გუნდი ბოლო ადგილზეა და ქულები სჭირდება. ამიტომ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს და ახლა მთავარია, მობილიზება შევძლოთ. ჩვენი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და ეს უნდა მოვახერხოთ.

**— ალბათ, ითამაშებ...**

— ვერაფერს გეტყვი. მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ ითამაშებს და ვინ არა. ძირითად შემადგენლობას მწვრთნელი მატჩის წინ გამოაცხადებს.

**— ზაზა ჯანაშიას თამაში გამორიცხულია?**

— როგორც ვიცი, ზაზა საწყის ტურებში ვერ დაგვეხმარება. ის ახლა მონდომებით ვარჯიშობს და მალე შემოგვეშველება.

**— წონა ისევ აწუხებს?**

— სათამაშო ფორმას თანდათან იბრუნებს. ვფიქრობ, ზაზა მალე ძველებურად ათამაშდება. აქ მისი ძალიან ეიმედებათ, ისევე როგორც დანარჩენი ქართველების.

**კახა შალამბერიძე**



გია იმედაძე



გიო ახვლედიანის

სვეტი

# მიხეილ მესხი

ხუთშაბათ საღამოს მიშა მესხი გარდაიცვალა:

მოულოდნელი, არეული, ალალი, ნიჭით სავსე, გაჭაღარავებული, მოურგებელი, პატიოსანი, მღელვარე, მხიარული, მგრძნობიარე, მხარბეჭიანი, ლამაზად აგებული, საოცარი, ცხოვრებასთან მებრძოლი, უცნაური, კეთილი, მართალი, ტკივილიანი და ფერადი.

ის ნამდვილი ფეხბურთელი იყო.

მის ფეხბურთელობას დიდი ტვირთი ახლდა, რადგან ის არ იყო უბრალოდ ბიჭი, რომელმაც ფეხბურთის თამაში გადაწყვიტა. ის ვარსკვლავის ვაჟი იყო და ეს ვარსკვლავიც სულ სხვანაირი ვარსკვლავი იყო, შეიძლება ითქვას, ნამდვილი კერპი.

ცხადია, რასაც მოელოდნენ კერპის ვაჟისგან. ცხადია, რისი ხილვა უნდოდათ, როცა შეიტყვეს, რომ თბილისის „დინამოში" მიიღეს მიხეილ მესხის ვაჟი. მისი არსებობა გულშემატკივრებმა ჯერ კიდევ მაშინ იცოდნენ, როცა ათიოდ წლისა ძლივს იქნებოდა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ის ერთადერთი მოთამაშე იყო, რომლის საცქერლად და შესათვალიერებლადაც გულშემატკივრები სპორტსკოლაში მიდიოდნენ: ბჭობდნენ, ადარებდნენ, მსჯელობდნენ.

ბავშვობიდანვე ის იმედი იყო, გულშემატკივართა ნება რომ ყოფილიყო, მთელს ქართულ ფეხბურთს მას აკიდებდნენ ზურგზე.

ეს უზომო ტვირთი იყო.

მერე მან გააღრმავა ეს იმედი, მან ხალისი მოიტანა დუბლიორთა თამაშებზე, ტრიბუნები გაავსო.

დიდ გუნდში პირველად გამოჩნდა ათიოდ წუთით, შეცვლაზე, თასების თასის ნახევარფინალში, პირწმინდად, თუმცა ერთი გოლით წაგებულ თამაშში და აქაც ისე შეიყვანეს, თითქოს ეუბნებოდნენ, აჰა, ხომ მაგარი ხარ, ზიდე ეგ შენი ტვირთიო.

აი, მიშა აღარ არის და საოცრად ზუსტად გაგახსენდება მისი მოძრაობა მინდორზე, ჩამოქნილი, მკვეთრი ფორმები, მარცხნივ-მარჯვნივ, სისწრაფე, დაბალი, გამჭოლი პასი, ზუსტი დარტყმა. მას თამაშები გადაურჩენია ჩვენს სტადიონზე და სხვაგანაც. მისი ოქროს პასით მოსკოვის „სპარტაკი" ჩემპიონი გახდა. კონსტანტინე ბესკოვი მეტიუზს ეძახდა. ესეც უცნაური იყო, მამას შემომწყრალმა შვილი აიყვანა გუნდში და ათამაშა. მერე გაზეთში ეწერა, მიშა მესხი ნამდვილი სპარტაკელი ვერ გახდაო.

სასაცილოა, მიშა სპარტაკელი როგორ გახდებოდა. ან საერთოდ, მიშა როგორ გახდებოდა რომელიმე ერთობის თვალდახუჭული წევრი. მიშა მესხი ხომ განუმეორებელი ხასიათი იყო, ის ხომ არ იყო ჩვეულებრივი, მისთვის ხომ ადამიანი ადამიანობით ფასდებოდა და არა რაღაც ავტორიტეტით და საზოგადოებრივი დამსახურებებით.

მიშას თქმა შეეძლო, იმიტომ რომ ალალ-მართალი იყო. მიშას თამაში შეეძლო, იმიტომ რომ წარმოუდგენლად ნიჭიერი იყო. რაც იყო, მიშა ნამდვილი იყო. არაფერს მალავდა, არც თავს ზოგავდა და წარმოუდგენლად ღირსეული და ძნელი იყო. მისი მესხური ხასიათი, მისი მესხური სხეული ერთადერთი იყო.

ხშირად, ის მარტო იყო ხოლმე მინდორზე, უზარმაზარი ტვირთი ეკიდა და ეზიდებოდა ამ ტვირთს. ხედავდი, რომ ეზიდებოდა ერთი მოურჯულებელი, მხნე და ნამდვილი ბიჭის მხრებით.

ახლა აღარ ვიცი, როდის დაიბადება კიდევ ისეთი ფეხბურთელი, რომლის საცქერლადაც ვივლით სპორტსკოლებისა და ქარხნების ბალახშემხმარ, ცალტრიბუნიან სტადიონებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისი

დავით თავართქილაძე

# აბა, ბიჭებო, სანამ ცხელია!

## ფორვარდების ტური

## ყოჩაღი მალკოლმ კრისტი და კაჭკაჭური ნისკარტები

**XXVII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | — | ჩელსი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | ბოლტონი |
| ბლექბერნი | — | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | — | ევერტონი |
| ფულემი | — | ასტონ ვილა |
| ლიდსი | — | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | — | მიდლსბრო |
| ტოტენჰემი | — | სანდერლენდი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი | — | მანჩესტერ სიტი |
| ნიუკასლი | — | არსენალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 26 | 17 | 5 | 4 | 56:28 | 56 |
| მანჩესტერი | 26 | 16 | 5 | 5 | 43:24 | 53 |
| ნიუკასლი | 25 | 15 | 3 | 7 | 41:31 | 48 |
| ჩელსი | 26 | 12 | 9 | 5 | 45:26 | 45 |
| ევერტონი | 26 | 13 | 6 | 7 | 34:30 | 45 |
| ლივერპული | 26 | 11 | 9 | 6 | 37:25 | 42 |
| საუთჰემპტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 28:25 | 39 |
| ჩარლტონი | 26 | 11 | 6 | 9 | 34:33 | 39 |
| ტოტენჰემი | 26 | 11 | 6 | 9 | 36:36 | 39 |
| სიტი | 26 | 11 | 4 | 11 | 37:37 | 37 |
| ასტონ ვილა | 26 | 10 | 5 | 11 | 30:27 | 35 |
| ბლექბერნი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:31 | 34 |
| ლიდსი | 26 | 9 | 4 | 13 | 33:34 | 31 |
| მიდლსბრო | 25 | 8 | 6 | 11 | 29:29 | 30 |
| ფულემი | 25 | 7 | 6 | 12 | 26:33 | 27 |
| ბირმინგემი | 26 | 6 | 8 | 12 | 22:36 | 26 |
| ბოლტონი | 26 | 5 | 9 | 12 | 28:43 | 24 |
| ვესტ ბრომვიჩი | 25 | 5 | 5 | 15 | 19:37 | 20 |
| ვესტ ჰემი | 26 | 4 | 8 | 14 | 28:51 | 20 |
| სანდერლენდი | 26 | 4 | 7 | 15 | 17:38 | 19 |

**ლანკაშირში** მანჩესტერული ამბავი რომ ჩათავდება, ინგლისის ჩრდილოაღმოსავლეთით ტურის კიდევ ერთი მთავარი მატჩია — „კაჭკაჭები“ და „მეთოფეები“.

ნიუკასლელებმა ამ სეზონში შინ, „სენტ ჯეიმს პარკზე“ 11 ლიგური მატჩი მოიგეს, „არსენალზე“ კი სათქმელი ბევრიც არაფერია — არსენ ვენგერის გუნდი ლიდერია.

„მეციხოვნეთა“ რიგებში ვინძლო ჯონათან ვუდგეიტის ლებიუტს გამოვრჩეთ, მაგრამ მთავარი ორი კაცია — ჩინებულ ფორმაში მყოფნი ფორვარდები ალან შირერი და კრეიგ ბელამი.

„არსენალზე“ ის ითქვა, რომ შვედი შუახაზელი ფრედერიკ ლიუნგბერგი ვერც ახლა ითამაშებს.

ალან შირერს მიმდინარე პრემიერლიგაში 14 გოლი გაუტანია, „მეთოფე“ ფრანგი ტიერი ანრის კი 17 — თავისებური ინტრიგა ამაშიცაა. თანაც „ნიუკასლს“ ერთი მატჩი რეზერვში აქვს — წინა ტურში მისი „მიდლსბროსთან“ თამაში გადაიდო და თუ ხვალ „კაჭკაჭებმა“ მოიგეს, „არსენალს“ მიუცუცქდებიან.

„ბირმინგემი“ ის გუნდია, დღეს „ჩელსის“ რომ მასპინძლობს და 15 დეკემბრის აქეთ არ მოუგია — სტივ ბრიუსის გუნდს გამარჯვება მართლაც ძალიან სჭირდება.

რაც შეეხება „ჩელსის“, კლაუდიო რანიერის გუნდი ჩემპიონობს ვერ გაეთამაშება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის კი შლეგად იბრძოლებს. ტრავმამოთავებულმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა წინა ტურში ოდენ შეცვლაზე ითამაშა და დღეს სასტარტოში უნდა იყოს.

სტუმრად თამაშობს „არისტოკრატთა“ მდევარი „ევერტონიც“. მერსისაიდელებს საქმეს ისიც ურთულებს, რომ „ჩარლტონი“ შინ ძალიან ძლიერად თამაშობს — სექტემბრიდან მოყოლებული სახლში არ წაუგია.



„ვესტ ჰემს“ ფრედერიკ კანოსი იმედებს

თანაც მერსისაიდელებს ტრავმები მოსძალებიათ — შუახაზელმა სტივ უოტსონმა ბოლო ხუთ მატჩში ოთხი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ქუსლი ასტკივებია, ხოლო იტალიელ მცველ ალესანდრო პისტონეს საზარდული — მათი თამაში სათუოა.

რაც შეეხება თინეიჯერ გოლდამშენ უეინ რუნის, მან ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია პატიოსნად მოიხადა.

„ლივერპული“ კი იმად დარდობს, რომ სტივენ ჯერარდი დისკვალიფიცირებულია, ხოლო „მიდლსბროში“ იქნებ გიორგი ქინქლაძის ყოფილი თანაგუნდელის დებიუტი ვიხილოთ — მალკოლმ კრისტი „დერბიში“ თამაშითაც გამოირჩეოდა პრემიერლიგაში.

თუ გლენ ჰოდლს სურს, თავისი გუნდი ევროპაშიც გამოაჭენოს, შინ ბოლოადგილოსან „სანდერლენდს“ ნაღდად უნდა მოუგოს. ლონდონელთაგან საეჭვოა მცველ დონ რიჩარდსისა და რობი კინის თამაში.

მაგრამ ნურც „სანდერლენდს“ შეხედავთ ალმაცერად — სათასო მატჩში ამ რამდენიმე დღის წინ ჰოვარდ უილკინსონის ბიჭებმა „ბლექბერნი“ დაიბრიყვეს — ხასიათი გამოიკეთეს.

მოთამაშეების გაყიდვითა და შიდა კონფლიქტების მოგვარებით სახელდაგდებული „ლიდსი“ „ჩაქუჩებს“ დაუხვდება და იქნებ ქომაგები ანუგეშოს კიდეც. იორკშირელებს ავსტრალიელი შემტევი მარკ ვიდუკა არ ეყოლებათ — მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია სტკიცეს. „ჩაქუჩთა“ მენეჯერ გლენ რიოდერს კი ყველაზე მეტად ფრანგი შემტევი, ფრედერიკ კანოს გამოჯანმრთელების იმედება, ვინც წინა ტურში ოდენ შეცვლაზე შეუშვა.

გორდონ სტრაჩანმა ერთი კვირის წინ ვერაფერი მოუხერხა თავისი მასწავლებლის მიერ გაწვრთნილ „იუნაიტედს“. წითურ სქოთს მცველი უეინ ბრიჯი მოაკლდება ბლექბერნში სტუმრობისას. „ბლექბერნს“ კი პრემიერლიგაში წლეულს მატჩი არ მოუგია.

„ფულემი“ — „ასტონ ვილა“ — სათქმელად მწირი წყვილია. ვილელების თამაშით რუდი ფიოლერი ყოფილა დაინტერესებული — გერმანელი შუახაზელი თომას ჰიცლსპერგერი ვინძლო ნაკრებსაც გამოადგებაო.

„ვესტ ბრომვიჩი“ და „ბოლტონი“ არგავარდნისთვის იბრძოლებენ და ბრომვიჩელთა მენეჯერმა გარი მეგსონმა თავისი გუნდის ფანებს შემოუძახა — მართლა ცხელი და დამთრგუნველი ატმოსფერო უნდა შექმნათო.

# ხვალ. «ოლდ ტრეფორდი»

## მანჩესტერ იუნაიტედი VS მანჩესტერ სიტი

# მიდი, სიტი!

## შარშანწინდელი და ნოემბრის წყენა



კევინ კიგანი

**თამაშევერცხლილი** კევინ კიგანი პარასკევს 52 წლისა მოიყრება — ისევ ის ხუჭუჭა ბიჭი აღარაა, მაგრამ მანჩესტერული დერბის ხელმეორედ მოგება ყველაფრის ელექსირია.

შარშან ნოემბერში, „მეინ როუდზე“, კიგანის ბიჭებმა ძვალ-ხრტილი არ დაუტოვეს „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 3:1. სერ ალექსის გუნდს მანამდე 12 წელიწადი არ წაეგო მანჩესტერულ დერბიში — 1985 წელს რომ 1:5 დამარცხდა, მას შემდეგ.

ნოემბრის ამ მარცხის შემდეგ „იუნაიტედი“ ოდენ ორჯერ დამარცხდა მომდევნო 22 შეხვედრაში.

„სხვათა შორის, ჩვენთან წაგების შემდეგ მათ სეზონი შემოატრიალეს და ვგონებ, ეს სერ ალექსსაც უთქვამს — დასცდენია კიგანს ხვალინდელ მატჩზე ბაასისას — იმ მატჩის შემდეგ იუნაიტედელებმა საგანგებო კრებაც ჩაატარეს. მაშინ ჩვენც და მეტოქესაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა, მაგრამ იმ დღეს ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ინგლისის ნაკრების მენეჯერობისას ცხადია, ურთიერთობა მქონდა „იუნაიტედის“ ფეხბურთელებთან და ძალიან კარგად ვიცი მათი ხასიათი — ისინი, ასე ვთქვათ, გამარჯვებულები არიან“ — ორაზროვნად ესეც დაამატა ნათქვამს სიტელთა მწვრთნელმა.

იმასაც მოგახსენებთ, თუ რარიგ იქადნებიან იუნაიტედის ბანაკში.

„კიდევ უფრო მიზანდასახულნი ვიქნებით „სიტის“ წინააღმდეგ. გამარჯვება იმიტომაც გვესაჭიროება, „მეინ როუდზე“, უბრალოდ რომ ვთქვათ, ცუდი შედეგი ვაჩვენეთ“ — დასძინა იუნაიტედის მცველმა გარი ნევილმა.

თავისი აზრები და ბრაზი გადმოაფრქვია ფერგიუსონელების ჰოლანდიელმა მთავარმეგოლე რუუდ ვან ნისტელროიმ, რომელსაც ამ სეზონში 26 გოლი დაჰგროვებია: „რაც იმ დროს „მეინ როუდზე“ შეგვემთხვა, ახლაც გულს მტკენს. კვირას პრემიერლიგის მორიგი მატჩი გველის, რომელიც უნდა მოვიგოთ. მაგრამ ჩვენს აზრებში დალექილია ისიც, რომ „სიტისთან“ ამ სეზონში წავაგეთ. ახლა გვინდა დავანახოთ მათ, თუ რეალურად რისი მაქნისნი ვართ“.

„მანჩესტერ სიტი“ ცხოვლად ეშურება რომელიმე ევროსაგზურის მოპოვებას — მეექვსეადგილოსან „ლივერპულს“ ოდენ ხუთი ქულით ჩამორჩება და ბარაქა „იუნაიტედზე“ ნაკლებად როდი სჭირდება — მოკლედ, დერბული ვნებების გარდა სხვა მნიშვნელოვანი მოტივაციაცაა.

წინა ტურში „სიტი“ შინ დამარცხდა „ვესტ ბრომვიჩთან“, მაგრამ კიგანი ამბობს, ეს ამბავი არანაირ გავლენას არ მოახდენს ოლდტრეფორდულ მატჩზეო.

„ბოლო დერბის დროსაც ასე იყო — წინა თამაში წავაგეთ, ორი მოთამაშე მოვისაკლისეთ და ყველა გაიძახოდა, „სიტი“ დერბისთვის ცუდადაა შემზადებულიო. მაგრამ ჩემმა მოთამაშეებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს“ — არ თმობს კიგანი.

ძალიან უნდა ხვალინდელ დერბიში თამაში პიტერ შმაიხელს — „იუნაიტედის“ ყოფილ და „სიტის“ მეკარეს. მან ახლაღა მოიშუშა წვივის კუნთი, მაგრამ ტრავმის შემდეგ ჯერ არ უთამაშია და საეჭვოა, ის კიგანმა მოედანზე გაიყვანოს, თუმც ვინ იცის — შმაიხელს მანჩესტერული დერბი ერთხელაც არ წაუგია.

ერთი დეტალიც. 2001 წლის აპრილში, ამავ დერბიში როი კინმა სიტელთა ნორვეგიელ შუახაზელ ალფ ინგე ჰაალანდს ფეხში ჩასცხო, ხოლო შარშან ავტობიოგრაფიულ წიგნში აღიარა, ძალადობა განზრახ ჩავიდინეო — კინი მაშინ გააძევეს და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს.

მას შემდეგ კინს მანჩესტერულ დერბიში არ უთამაშია და ხვალ პირველად წარსდგება „სიტის“ ფანების წინაშე. ჰაალანდი კი ახლაც სიტელია, მაგრამ მაშინ მიღებულ ტრავმას რეციდივები და სხვა დაზიანებები მიაყოლა და მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ უთამაშია.

„სიტის“ მანჩესტერული დერბი სეზონში ორჯერ, 33 წელია, არ მოუგია — და თუ კიგანმა „დუბლი“ გაახერხა, ვინძლო „მეინ როუდზე“ კვარცხლბეკზე შემდგარი ბიუსტი მაინც დაუდგან.

ინგლისის ჩემპიონატში, პრემიერლიგის ჩათვლით, ეს 128-ე მანჩესტერული დერბია. რაგინდარა თასებზე კი ეს გუნდები ოდენ 10-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს.

ხვალინდელ მატჩამდე „იუნაიტედმა“ ზედიზედ ექვსი თამაში მოიგო, რუუდ ნისტელროიმ ბოლო 8 შეხვედრაში 7-ჯერ გაიტანა.

სეზონის პირველ დერბიში სიტელთაგან გოლები შონ გოტერმა (დუბლი) და ნიკოლა ანელკამ გაიტანეს, ფერგიუსონელთაგან კი ოლე გუნარ სოლსკიაერმა. ამ მანჩესტერულ დერბის სრული სტატისტიკა ასეთია:

| მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი | მატჩი | იუნაიტედის მოგება | სიტის მოგება | ფრე |
|---|---|---|---|---|
| ყველა მატჩი | 137 | 54 | 37 | 46 |
| ინგლისის ჩემპიონატი | 127 | 49 | 33 | 45 |
| პრემიერლიგა | 11 | 8 | 1 | 2 |

## სიტის სტუმრობა იუნაიტედთან

| | მატჩი | მოგება | წაგება | ფრე |
|---|---|---|---|---|
| ინგლისის ჩემპიონატი | 63 | 14 | 27 | 22 |
| პრემიერლიგა | 5 | 0 | 4 | 1 |

# იტალია

პაპუნა კედია

# რა დრო დადგა?!

## ბაჯო ვირებში გაერია

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | - | პიაჩენცა |
| იუვენტუსი | - | ემპოლი |
| **ხვალ** | | |
| ბოლონია | - | ატალანტა |
| ბრეშა | - | კიევო |
| პერუჯა | - | მილანი |
| კომო | - | პარმა |
| ინტერი | - | რეჯინა |
| მოდენა | - | რომა |
| ლაციო | - | ტორინო |

| საღლეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 19 | 13 | 3 | 3 | 36:13 | 42 |
| ინტერი | 19 | 13 | 3 | 3 | 38:20 | 42 |
| იუვენტუსი | 19 | 11 | 6 | 2 | 35:14 | 39 |
| ლაციო | 19 | 10 | 7 | 2 | 34:18 | 37 |
| კიევო | 19 | 10 | 3 | 6 | 29:19 | 33 |
| პარმა | 19 | 8 | 6 | 5 | 33:22 | 30 |
| უდინეზე | 19 | 8 | 5 | 6 | 19:19 | 29 |
| ბოლონია | 19 | 7 | 7 | 5 | 22:19 | 28 |
| რომა | 19 | 7 | 5 | 7 | 31:28 | 26 |
| პერუჯა | 19 | 7 | 4 | 8 | 24:26 | 25 |
| ემპოლი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:27 | 23 |
| ბრეშა | 19 | 5 | 7 | 7 | 24:28 | 22 |
| მოდენა | 19 | 6 | 2 | 11 | 13:28 | 20 |
| რეჯინა | 19 | 5 | 4 | 10 | 18:33 | 19 |
| ატალანტა | 19 | 4 | 6 | 9 | 20:30 | 18 |
| პიაჩენცა | 19 | 3 | 4 | 12 | 15:32 | 13 |
| კომო | 19 | 1 | 8 | 10 | 11:27 | 11 |
| ტორინო | 19 | 2 | 5 | 12 | 11:34 | 11 |

**ამ უქმეებზე** სერია A-ს ლიდერები საშუალო სიძლიერის და სუსტ გუნდებთან ჭიდილში მოსაგარის სამ-სამი ქულით გამდიდრებას აპირებენ. მაგალითად, „ინტერი" ხვალ „რეჯინას" ხვდება.

ისე, „რეჯინა", ბოლო სამი ტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. თავად განსაჯეთ, ბოლო სამ ტურში მან „ბოლონიას", „ლაციოს" და „პერუჯას" აჯობა, ანუ 9 ქულა ჩაიწერა და სიტყვა გავარდნის ხსენებაზე ალარ თრთის, მაგრამ „ინტერი" მაინც „ინტერია".

„რეჯინას" გამოსწორება ნოემბერში დანიშნული ახალი მწვრთნელის, ლუიჯი დე კანიოს სახელს უკავშირდება. მისი თამაში, ახლა უკვე გამართულ კონტრშეტევებზეა აწყობილი და ყოველივე ამაში იაპონელი გამთამაშებელი, შუნსუკე ნაკამურა თამაშობს დიდ როლს.

თავდასხმაში კალაბრიელებს „პარმასგან" იანვარში ნაყიდი 24 წლის თავდამსხმელი ემილიანო ბონაცოლი ჰყავთ. მან ბოლო ორ თამაშში მოედანი უგოლოდ არ დატოვა.

როგორ დამთავრდა მეტოქეთა შეხვედრა წინა წრეში? „ინტერმა" ალვარო რეკობას მიერ მსაჯის წამატებულ წუთებში გატანილი გოლით 2:1 მოიგო.

დღეს „ინტერი", მოგეხსენებათ, ლიდერთა შორისაა და მიუხედავად გვარიანი კრიტიკისა (საყვედურობენ, რომ გუნდის თამაში უპირატესად კრისტიან ვიერიზეა დამოკიდებული) „მილანს" უწევს კონკურენციას.

ვიერი კი მართლაც მნიშვნელოვანი ფიგურაა. მან 14 შეხვედრაში 17 გოლი შეაგდო და, ახლა, მას მერე, რაც „შავ-ლურჯებმა" „რომასგან" გაბრიელ ბატისტუტაც დაიმატეს, ორმაგად სახიფათო გახდა.

დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა ნახევარმცველ ლუიჯი დი ბიაჯოსაც, ხოლო მცველი ივან კორდობა გამოჯანმრთელდა.

„მილანი" კი სადაც გუშინწინ ლარბოდა, ხვალაც იქ ირბენს. საუბარია პერუჯაზე. იქ ხომ ხუთშაბათს იტალიის თასის ნახევარფინალი შედგა და ამ წყვილმა 0:0 ითამაშა. ამბობენ, თასის თამაშის შემდეგ, რომელმაც უკვე დაისვენა, ის გაიმარჯვებსო, მაგრამ დავძინოთ, რომ ხუთშაბათს „მილანმა" არ ათამაშა ფილიპო ინძაგი, რუი კოშტა და ალესანდრო ნესტა. [illegible] ეჭვი, თითქოს „შავ-წითლებს" [illegible] შეხვედრას ხვალინდელ თამაშს, მართლა არსებობს.

„იუვენტუსმა" კი ვითომ „ემპოლის" ვერ უნდა მოუგოს? „ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად მარკო დი ვაიოს ვიხილავთ. დელ პიერო, როგორც იცით, წინა კვირაში დაშავდა და ხუთი კვირით დაისვენებს.

ცნობისთვის: „ემპოლიმ" წინა ტურში [illegible] „კომოს" ვერ მოუგო.

სიმპათიური „ლაციო" „ტორინოს" მასპინძლობს. „ტორინოს", საერთოიტალიური აზრით, სერია A-ში ყველაზე ცუდი თავდასხმა ჰყავს, რასაც მცველის ჯანლუკა კომოტოს ტრავმაც ემატება.

„კიევო", გნებავთ [illegible] დებიუტანტი, მეხუთე ადგილზეა და წინ იყურება, მაგრამ რობერტო ბაჯო? ხვალ, სწორედ კვლავ ფორმაში შესული [illegible] გაიხედავს „კიევოს" კარისკენ და, სხვათა შორის, ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ვირებს" ბოლო სამ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა აქვთ მოპოვებული.

„პარმა" მიდის კომოში. პარმელებს არ ეყოლებათ მცველები დანიელე ბონერა და მატეო ფერარი, მაგრამ ამას, წესით და რიგით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. „პარმაში" მთავარი ფიგურების, ადრიანოს და ადრიან მუტუს წყვილი



რეჯინელი ემილიანო ბონაცოლი ორი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს

# გერმანია

დავით თავართქილაძე

# წითელი და შავი

## ჰუუბ, ხუმრობა გიყვარს?

ფელიქს მაგათი მათიას ზამერის წინააღმდეგ — შავტუხა გერმანელი და წითური გერმანელი — 80-იანელთა თაობის კაცი, 90-იანელთა თაობის კაცის პირისპირ.

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰანზა | — | კოტბუსი |
| ჰანოვერი | — | ნიურნბერგი |
| ვერდერი | — | მიუნხენ 1860 |
| ვოლფსბურგი | — | არმინია |
| ლაუტერნი | — | გლადბახი |
| ჰერტა | — | შალკე |
| ბოხუმი | — | ლევერკუზენი |
| **ხვალ** | | |
| ბაიერნი | — | ჰამბურგი |
| შტუტგარტი | — | დორტმუნდი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 19 | 13 | 4 | 2 | 39:14 | 43 |
| დორტმუნდი | 19 | 10 | 6 | 3 | 31:15 | 36 |
| ვერდერი | 19 | 10 | 4 | 5 | 36:30 | 34 |
| შტუტგარტი | 19 | 9 | 6 | 4 | 32:24 | 33 |
| შალკე | 19 | 8 | 8 | 3 | 25:17 | 32 |
| ჰამბურგი | 19 | 8 | 5 | 6 | 24:25 | 29 |
| მიუნხენი | 19 | 8 | 4 | 7 | 29:26 | 28 |
| ბოხუმი | 19 | 7 | 5 | 7 | 34:31 | 26 |
| ჰერტა | 19 | 7 | 5 | 7 | 22:23 | 26 |
| არმინია | 19 | 6 | 6 | 7 | 23:26 | 24 |
| ჰანზა | 19 | 6 | 5 | 8 | 22:24 | 23 |
| ვოლფსბურგი | 18 | 7 | 2 | 9 | 21:24 | 23 |
| ნიურნბერგი | 19 | 6 | 3 | 10 | 24:30 | 21 |
| ლევერკუზენი | 19 | 5 | 5 | 9 | 24:32 | 20 |
| ჰანოვერი | 19 | 5 | 5 | 9 | 25:35 | 20 |
| გლადბახი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:22 | 19 |
| კოტბუსი | 19 | 4 | 4 | 11 | 18:39 | 16 |
| ლაუტერნი | 19 | 3 | 5 | 11 | 20:32 | 14 |

ერთი სიტყვით, მაგათის „შტუტგარტი" ზამერის მიერ ნაწრთობ „დორტმუნდს" მასპინძლობს და ტურის ტოპმატჩიც ეგაა.

მაგათი მუნდიალის (1982) ვერცხლით მოიწონებს თავს და კიდევ ჩემპიონთა თასით — 1983 წლის ფინალში „ჰამბურგმა" სწორედ მაგათის ჯარიმით სძლია ვარსკვლავებით გატენილ „იუვენტუსს".

ზამერმა კი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი მოიგო, თუმც მაგათისგან განსხვავებით ჯერ მხოლოდ ერთი გუნდი გაუწვრთნია და წვრთნის.

ცხადია, მაგათს უფრო დალვინებული მწვრთნელის იმიჯი აქვს გერმანიაში. მისი „შტუტგარტიც" ძალიან მობილური გუნდია და ერთნაირად კარგად თამაშობს ყველა რგოლში.

„შტუტგარტს" გერმანელი სახელდაგდებული ფეხბურთელი არავინ ჰყავს, ლეგიონერთაგან კი ყველაზე განთქმული კაცი 36 წლის ბულგარელი კრასიმირ ბალაკოვია. ცნობილი გვარ-სახელია ზვონიმირ სოლდოც, მაგრამ ამ 35 წლის ხორვატს „შტუტგარტის" ძირითადში კარგა ხანია, არ უთამაშია.

შტუტგარტელთაგან აქებენ 21 წლის უკრაინელ ნახევარმცველ ალექსანდრ გლებს, თავდასხმაში კი შედეგიანობით 20 წლის კევინ კურანი გამოირჩევა.

ისიც ვთქვათ, რომ მაგათის გუნდმა ბოლო სამი თამაში მოიგო.

ლიდერი „ბაიერნი" მიხაელ ბალაკის გარეშე უმასპინძლებს „ჰამბურგს", რომელიც მიმდინარე ბუნდესლიგაში ჭკვიანური თამაშით იწონებს თავს და არც სხვა კომპონენტები დაეწუნება.

ბავარიელთა რიგებში პირველი ბუნდესლიგური უნდა ითამაშოს სებასტიან დაისლერმა — თუმც ოტმარ ჰიცფელდმა შესაძლოა არც გარისკოს ახლადგამოჯანმრთელებული დაისლერის მინდორზე გაყვანა.

კლაუს ტოპმოლერი თავის ყოფილ კლუბ „ბოხუმს" ესტუმრება. ლევერკუზენელებს ასევე ყოფილი ბოხუმელი ილდირაი ბაშთურქი არ ეყოლება — თურქი პლეიმეიკერი დისკვალიფიცირებულია.

დანაკლისია „ბოხუმშიც", სადაც დაცვის კამერუნელ ბურჯ რაიმონდ კალას დაუგროვდა „ყვითლები".

ბურთი კარგად უნდა გაგორდეს დედაქალაქშიც. თანაც „ჰერტას" „ხუმარათა" ყოფილი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი თავკაცობს — პირველ წრეში ამ გუნდების მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა. ჰერტელები ამჯერად დაშავებულ ბრაზილიელ შემტევ ალექს ალვესს მოისაკლისებენ.

შესუსტებული შემადგენლობით ჩავა ნიურნბერგში მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი „ჰანოვერ 96" — ესპანელი ნახევარმცველი ხაიმე და შემტევი ფრედი ბობიჩი გაფრთხილებების გამო არიან დასჯილნი.

კოტბუსის „ენერგიც" ვერ ესტუმრება როსტოკის „ჰანზას" დანაკარგის გარეშე — ბრაზილიელი მცველი ვრაგელ და სილვა დისკვალიფიცირებულია.

„ვოლფსბურგი" — „არმინიას" მატჩისთვის დასჯილი არავინაა — ბილეფელდელები იმედოვნებდნენ, რომ მათი პოლონელი შემტევი არტურ ვიშნისკი დღეს ჯანზე იქნება.

„კაიზერსლაუტერნზე" იმდენჯერ ითქვა, ბეჩავი გუნდიაო, რომ თასის ნახევარფინალში გააღწია. თუმც ბუნდესლიგაში და ფინანსურად კვლავაც შავად აქვს საქმე — დღეს ერიკ გერეტსის ბიჭებს აუცილებლად მართებთ „გლადბახის" გალახვა — „ლაუტერნს" პორტუგალიელი მარცხენაფლანგელი ჟოზე მანუელ დომინგესი გამოუჯანმრთელდათ.





ფელიქს მაგათი და მათიას ზამერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# თვალი ქვევით გარბის

## ატლეტიკოს სევილია ბარსელონა არ ეგონოს



როგორი გუნდია „ატლეტიკო“ ფერნანდო ტორესის გარეშე, ახლა გამოჩნდება

**XXI ტური**

**დღეს**

ვილიარეალი — ვალიადოლიდი
რეალი — ბეტისი

**ხვალ**

რაიო ვალეკანო — მალაგა
უელვა — ვალენსია
მალიორკა — სელტა
სევილია — ატლეტიკო
ბარსელონა — ბილბაო
სოსიედადი — ესპანიოლი
დეპორტივო — ოსასუნა
რასინგი — ალავესი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 20 | 12 | 7 | 1 | 36:24 | 43 |
| რეალი | 20 | 10 | 9 | 1 | 42:21 | 39 |
| ვალენსია | 20 | 11 | 5 | 4 | 33:16 | 38 |
| დეპორტივო | 20 | 10 | 5 | 5 | 29:24 | 35 |
| ბეტისი | 20 | 9 | 6 | 5 | 30:23 | 33 |
| სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 22:19 | 30 |
| ატლეტიკო | 20 | 7 | 7 | 6 | 32:26 | 28 |
| მალაგა | 20 | 6 | 9 | 5 | 27:24 | 27 |
| ვალიადოლიდი | 20 | 8 | 3 | 9 | 21:23 | 27 |
| მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 24:33 | 27 |
| სევილია | 20 | 6 | 7 | 7 | 16:15 | 25 |
| ვილიარეალი | 20 | 6 | 7 | 7 | 20:22 | 25 |
| ბილბაო | 20 | 7 | 4 | 9 | 30:35 | 25 |
| ალავესი | 20 | 6 | 7 | 7 | 26:31 | 25 |
| ბარსელონა | 20 | 6 | 5 | 9 | 27:28 | 23 |
| ოსასუნა | 20 | 6 | 5 | 9 | 22:26 | 23 |
| ესპანიოლი | 20 | 6 | 3 | 11 | 24:31 | 21 |
| რასინგი | 20 | 6 | 2 | 12 | 22:29 | 20 |
| რაიო | 20 | 5 | 4 | 11 | 20:29 | 19 |
| უელვა | 20 | 3 | 5 | 12 | 16:40 | 14 |

**წინა ტურში** ბილბაოში მარცხი „რეალ სოსიედადისთვის“ იმითაც იყო სამწუხარო, რომ თურქი ნიჰათი მოედნიდან წითელი ბარათით მიაბრძანეს, ეს კი, მოგეხსენებათ, მომდევნო თამაშის გამოტოვებას ნიშნავს. სანსებასტიანელებს მომდევნო თამაში ხვალ, „ესპანიოლთან“ ელით. „ესპანიოლი“ კი ის გუნდია, წინა უქმეებზე „რეალს“ ფრედ რომ ეთამაშა, არადა, მოგებაც შეეძლო. საერთოდაც უნდა ითქვას, რომ ნაკრების ყოფილი დამრიგებლის, ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ ბარსელონელთა მეორე გუნდს ვეღარ ცნობენ. იქამდე მაჩანჩალა „ესპანიოლმა“, მთელი ხუთი თვე გასავარდნთა ზონაში რომ გაატარა, ბოლო ექვსი მატჩიდან მხოლოდ ერთში წააგო და „რეალთან“ ფრის მერე სახიფათო ზონასაც თავი დააღწია.

ნიჰათის გაძევება ვახსენეთ და ალვნიშნოთ, რომ რეინალდ დენიო მის ადგილას ალბათ რუს ვალერი კარპინს გაამწესებს და ისე დაუხვდება მეტოქეს. რუსმა კი „ბილბაოსთან“ მარცხზე თქვა, ხომ ვიცოდით, ადრე თუ გვიან მაინც წავაგებდით, ამიტომ დეპრესია არ დაგვწყებია და „ესპანიოლს“ მოსაგებად დავუხვდებითო.

ამ ტურში სხვა გამორჩეული მატჩებიცაა. თუნდაც მეორეადგილოსანი „რეალისა“ და მეხუთეადგილოსანი „ბეტისის“ დაპირისპირება, მაგრამ რა გასაკვირია, რომ თვალი უპირველესად ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი „ბარსელონასა“ და „ბილბაოს“ შეხვედრისკენ გაგვირბის. მიზეზის დაწვრილებით თქმა, ვინძლო, ზედმეტი იყოს.

რადომირ ანტიჩისთვის კარგი ამბავია: პატრიკ კლუივერტმა და ფილიპ კოკუმ დისკვალიფიკაცია მოიხადეს, ხოლო ახალწვეული ხუან პაბლო სორინი რომ საუკეთესო ფორმაშია, შუა კვირაში, „კადისთან“ ამხანაგური მატჩისას გამოჩნდა.

მადრიდის „რეალს“ დისკვალიფიცირებული მიჩელ სალგადოს გარეშე მოუხდება ხოაკინისა და დენილსონის იერიშების მოგერიება, სამაგიეროდ, ფრანგი კლოდ მაკელელე დაუბრუნდა, რომელიც უთუოდ გააძლიერებს ნახევარდაცვას.

თუ „ვალენსია“ ხვალ უელვაში მოიგებს, ეს მისთვის ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იქნება, მასპინძლები კი გულზე არიან მოსული — ამ კვირაში „ოსასუნას“ თასზე 2:0 მოუგეს და ლამის წინასწარ იზეიმონ ფინალში გასვლა.

ის, რომ „ატლეტიკო“ წინა ტურში იოლად გაუსწორდა „ბარსელონას“, სულაც არ ნიშნავს, რომ „სევილიასაც“ შავ დღეს დააყრის. საქმე ის გახლავთ, რომ ხოსე მარი, ფერნანდო ტორესი და კოზმინ კონტრა დისკვალიფიცირებულები არიან, ესენი კი მადრიდული გუნდისთვის უმნიშვნელო ძალას როდი წარმოადგენენ. ერთი საინტერესო ფაქტიც: ბოლო ოცი წლის მანძილზე „ატლეტიკომ“ სევილიის „სანჩეს პისხუანზე“ მხოლოდ ორჯერ მოიგო, „სევილიას“ კი, მეთერთმეტეადგილოსნობის მიუხედავად, პრიმერადივიზიონში ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული — 15.

„რასინგი“, თამაშს თამაშზე რომ აგებს, „ალავესს“ მასპინძლობს და კვლავ თუ დამარცხდა, უფრო ღრმად ჩაეფლობა ჭაობში. ბასკთა დედაქალაქის გუნდს კი იუგოსლავიელი ნახევარმცველი ივან ტომიჩი დაუბრუნდა, რომელიც „რომაში“ ჰყავდა განათხოვრებული.

„მალაგამ“ წინა ტურში „უელვას“ 4:0 მოუგო, მაგრამ იმ შეხვედრაში დუბლის შემსრულებელი დელი ვალდესი სანაკრებო ვალის მოსახდელად პანამაში გაემგზავრა და მალაგელებს მის გარეშე მოუწევთ „რაიო ვალეკანოსთან“ გამკლავება. ხოლო მადრიდელთა მესამე გუნდმა წინა ტურში, როგორც იქნა, ქულა აართვა „ალავესს“, იქამდე კი ორი მატჩი წააგო.

# მარია რეალისტი

## მანახეთ ჩემი მომავალი

*რონალდოს რომ ჰკითხოთ, მადრიდის „რეალში“ კარგიაო, იტყვის, მაგრამ ხოსე მარია გუტიერესს რომ ჰკითხოთ, კარგია თუ არა რონალდოს „რეალში“ გადაბრძანება, მისი პასუხი მისივე გულის ნადებს შეიძლება არ დაემთხვეს. სამეფო გუნდის თავდასხმაში კონკურენცია ყოველთვის იყო, „კიჭას“ მისვლის შემდეგ კი ზოგ-ზოგის მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მათ შორის გუტიც აღმოჩნდა, რომელმაც უკმაყოფილება არ დამალა და სათქმელი საგაზეთოდ ამოღერღა, თან ცოტა უხეშად. „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ ფეხბურთელი დაიბარა და მშვიდად ესაუბრა.*



**— ვალდანომ დაგაიმედათ?**

— ჩვენ გულახდილად ვისაუბრეთ. ავუხსენი, რომ ჩემი ნათქვამი შეურაცხმყოფელი არ ყოფილა. მხოლოდ ერთი ვთქვი: ფეხბურთელი ვარ და თამაში მსურს. ვფიქრობ, ეს სავსებით ნორმალურია. კლუბისა და მწვრთნელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**— თუ ასეა, თქვენი ნათქვამი სხვაგვარად რატომ შეფასდა?**

— იმიტომ, რომ ჭორებს აჰყვნენ. კლუბთან დაკავშირებით მომავლის გარკვევა მსურდა და ეს მოვითხოვე. თუ ფეხბურთელი კმაყოფილია და გუნდში კარიერის გაგრძელება სურს, კლუბმა თავისი სიტყვა უნდა თქვას, გაუგებრობა რომ არ მოხდეს. მე ამ სიტყვას დიდხანს ველოდი და ბოლოს მოთმინება დავკარგე.

**— სამომავლოდ რა გაარკვიეთ?**

— ჯერ არაფერი. ისე კი, კონტრაქტით მადრიდის „რეალში“ კიდევ ორი წელი უნდა დავყო. როცა უარეს ფორმაში ვიყავი და არ მათამაშებდნენ, მაშინ არსად წავსულვარ, იმიტომ რომ „რეალზე“ შეყვარებული ვარ.

**— მართალია, რომ „ბარსელონაში“ გადასვლა გსურდათ?**

— არც მიფიქრია აქედან სადმე წასვლაზე, მით უმეტეს, „ბარსელონაში“.

**— იქნებ ამ ამბავმა მიაღწია „რეალის“ ბოსთა ყურამდე და...**

— მე „მადრიდისტი“ ვარ. მე „თეთრი“ ვარ. წარმოუდგენელია: კარლეს პუიოლი „რეალის“ ფორმით და „ბარსელონას“ მაისურაში გამოწკეპილი გუტი.

**— უთამაშებლობამ ძალიან დაგაღონათ?**

— საკმაოდ გავიტანჯე, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ძირითად შემადგენლობაში მოვხვდები. ეს სეზონი ჩემთვის ერთ-ერთი უცუდესია.

**— ძირითადში დაბრუნება არც ისე იოლი იქნება...**

— არ მინდა, რომ გუნდის მარადიული მე-12 ფეხბურთელი ვიყო, ან კიდევ რომელიმე ვარსკვლავის შემცვლელი, როცა ის დაიღლება. თადარიგში ყოფნა ალბათ არავის სიამოვნებს, თუნდაც მადრიდის „რეალში“. მსურს, გავიზარდო როგორც ფეხბურთელი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ აქ.

**— ვისენტე დელ ბოსკემ უთამაშებლობის მიზეზი აგიხსნათ?**

— მწვრთნელმა რა უნდა მითხრას? მასთან ისეთივე ურთიერთობა მაქვს, როგორიც გუნდში მისი მოსვლის დღიდან მქონდა. იგი წყვეტს ისე, რაც მისი აზრით, გუნდს წაადგება. დელ ბოსკეზე აუგს ვერ ვიტყვი.

**— ცოტა უცნაურია, მწვრთნელთან არ გისაუბრიათ და სპორტულ დირექტორს მიაკითხეთ...**

— კლუბის მესვეურებმა ასე გადაწყვიტეს. ვფიქრობ, ეს შეხვედრა ჩემს მომავალს ნათელს მოჰფენს, რაც აუცილებელია ამ მომენტისთვის. მე ხორხე ვალდანოსი მჯერა.



ხუან გასპარი

# შენც წადი...

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, ხუან გასპარი დათმობაზე წავა. იკითხავთ, აკი, უკვე დათმო ლუის ვან გაალი, რომელსაც რამდენიმე თვე კბილებით იცავდა და რომლის გამოც ნახევარი (უფრო მეტიც) კატალონია გადაიმტერაო.

არა, ბატონებო, ამჯერად უფრო დიდ დათმობაზეა ლაპარაკი, ანუ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „ბარსელონას“ პრეზიდენტი გადადგომას დათანხმდება. ამის თაობაზე, სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, გუშინ ბარსელონურმა „სპორტმა“ ამცნო მკითხველს.

მოგეხსენებათ, გასპარს, რა ხანია, განუდგა ის ხალხი, ვისთან ერთადაც მან 2000 წლის არჩევნები მოიგო. ამ ორწელიწადნახევრის მანძილზე კი ექვსი ვიცე-პრეზიდენტი გადადგა და ამბობენ, გასპარიც ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ყველას წასვლას ისევ ერთი კაცის წასვლა სჯობსო.

კონკრეტულ თარიღზე თუ მიდგა საქმე, გასპარი გადადგომის თაობაზე ალბათ 1 აპრილს განაცხადებს. ამ დღეს კლუბის რიგგარეშე, საგანგებო ასამბლეის სხდომაა დანიშნული.

სარბიელი & კროკო

# წარმოგიდგენთ

## გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ჰანზა-კოტბუსი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 002 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიუნხენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-არმინია | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.30 | 005 | ლაუტერნი-გლადბახი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
**ჰოლანდიურ „როზენდალს“ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. 34 წლის რობერტ მაასკანტი მეორედ ბრუნდება კლუბში. მან წინა კვირაში მოხსნილი კრის დეკერი შეცვალა. „თუ მაასკანტმა „როზენდალი“ ლიგაში დატოვა, გუნდს ახალ სეზონშიც ის უთავკაცებს“ — აცხადებენ კლუბის ბოსები. „როზენდალი“ ახლა ჰოლანდიურ 18-გუნდა ჩემპიონატში მეთხუთმეტე ადგილზეა. რობერტ მაასკანტის ხელახალი დებიუტი დღეს „გრააფსხაპთან“ საშინაო მატჩისას შედგება.**

**შოტლანდია**

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

**სელტიკი 3:0 დანდი იუნაიტედი**

1:0 ბალდე (52), 2:0 ლარსონი (80), 3:0 ბალდე (90)

**გაძევება:** ლაკლანი (55, დანდი იუნაიტედი)

*ფინალში 16 მარტს გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ „სელტიკი“ და „გლაზგო რეინჯერსი“ შეხვდებიან*

**Copa Toyota Libertadores '2003**

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**II ჯგუფი. I ტური**

**სერო პორტენო (პარაგვაი) 3:2 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

1:0, 2:0 სალკედო (2, 45), 2:1 ჯონინო (85), 2:2 ლენკი (87), 3:2 ნუნიესი (90)

**VII ჯგუფი. I ტური**

**ბარსელონა (ეკვადორი) 2:0 კოლო კოლო (ჩილე)**

1:0 გრაციანი (8), 2:0 ფლეიტასი (51)

UAB "Bilijardai"
Zeus
Bilijardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების




saluc
Master
კონსულტაციები, გარანტია
ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია

# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# ამხანაგური მატჩები. 12 თებერვალი

## ჰოლანდია — არგენტინა

# მიზეზთა ერთობლიობა ვესტერფელდის სასარგებლოდ



სანდერ ვესტერფელდი ფორვარდთა რისხვად იქცა

**ბოლო ხანებში** მოგერიებული ორი პენალტი და რამდენიმე აღებული მკვდარი ბურთი საკმარისი შეიქნა სანდერ ვესტერფელდის ნაკრებში დასაბრუნებლად. ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც: ჰოლანდიელებს დაშავებული ჰყავთ კარის უპირველესი დარაჯი, ფულემელი ედვინ ვან დერ სარი და ამ ფაქტების ერთობლიობამ დიკ ადვოკაატს ნაკრებში რვა თვის უთამაშებელი „რეალ სოსიედადის" მეკარე გაახსენა.

„ედვინის ტრავმამ, ცხადია, გული დაგვწყვიტა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს შანსია ვესტერფელდისთვის, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინოს" — განაცხადა ადვოკაატმა.

ჰოლანდიის ნაკრები 12 თებერვალს „ამსტერდამ არენაზე" არგენტინას მასპინძლობს, ხოლო სანდერ ვესტერფელდმა ბოლო სანაკრებო შეხვედრა შარშან მაისში, ბოსტონში ამერიკელებთან ითამაშა.

ადვოკაატმა კვლავ უხმო მარკ ვან ბომელს და პიერ ვან ჰოიდონკს, რომლებმაც ტრავმის გამო „ნარინჯისფერთა" ბოლო ამხანაგური მატჩი, ნოემბერში გერმანიასთან, გამოტოვეს. არგენტინასთან ვერ ითამაშებს რაფაელ ვან დერ ვაარტი, რომელსაც ფეხი ტკივა.

ეს შეხვედრა ჰოლანდიისთვის ბოლო ტესტია 29 მარტს როტერდამში ჩეხებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ.

„შარშან ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინაა. მომდევნო თვეებში გამოჩნდება, ვიმსახურებთ თუ არა პორტუგალიაში წასვლას" — დასძინა ადვოკაატმა.

ღღეისთვის მესამე შესარჩევ ჯგუფში ჰოლანდიას ორი თამაშიდან ექვსი ქულა აქვს.

**ირაკლი ნინიძე**

ჰოლანდია

*მეკარეები: რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი), სანდერ ვესტერფელდი (სოსიედადი, ესპანეთი);*

*მცველები: ფრანკ დე ბური (ბარსელონა, ესპანეთი), მიხაელ რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი), ფერნანდო რიკსენი (რეინჯერსი, შოტლანდია), იაპ სტამი (ლაციო, იტალია);*

*ნახევარმცველები: ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (არსენალი, ინგლისი), მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), კლარენს ზეედორფი (მილანი, იტალია), რონალდ დე ბური (რეინჯერსი, შოტლანდია), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი), ანდი ვან დერ მეიდე (აიაქსი), რუუდ ვან ნისტელროოი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)*



# რივალდო: ვინ ვარ მე?

**ევროპულ** კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახების ჟამი როგორც კი დადგება, კლუბთა მესვეურები მაშინვე წუწუნს იწყებენ. რთულ კალენდარს, მოსალოდნელ ტრავმებს, გადამღლელ მგზავრობას მოიმიზეზებენ და ცდილობენ, ფეხბურთელი ნაკრებში სათამაშოდ არ გაუშვან, მით უმეტეს, თუ ის გუნდისთვის ერთობ ძვირფასი მოთამაშეა.

მომავალ კვირაში ბევრი ამხანაგური მატჩი გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია ჩინეთში ჩაბრძანდება და იქაური ბრინჯის გემოსთან ერთად ჩინეთის ნაკრების ძალასაც დააჭაშნიკებს. ისე, რაღა დაჭაშნიკება უნდა — ისინი ერთმანეთს შარშან ზაფხულში მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ და სამხრეთამერიკელებმა 4:0 რომ მოიგეს, ალბათ გეხსომებათ.

ეტყობა, ჩინელებს ძალიან მოეწონათ მეტოქე და ახლა საამხანაგოდ დაპატიჟეს. ბრაზილიის ნაკრები კი ის გუნდია, რაგინდარა მეტოქესთან მეგობრულად გაჯიბრებას რომ არ თაკილობს, ოღონდ ბლომად ფულის სანაცვლოდ.

რამდენიმე დღის წინ G 14-ის აღმასრულებელმა მდივანმა თომას კურტმა ბრძანა, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას ნაკრები ჩინეთში სარეკლამო კამპანიისთვის და ფულის საკეთებლად მიჰყავსო. ისიც დასძინა, ავიწყდებათ, რომ ფეხბურთელებს ჯამაგირს კლუბები უხდიან და მათი გადაღლა ან დაშავება კლუბებისვე პრობლემად იქცევაო.

ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან 19 ევროპაში თამაშობს და, ცხადია, მათ შორის არის რივალდოც, რომელსაც „მილანი" თვალისჩინივით უფრთხილდება.

ახლა, რა ხდება: ამ უქმეებზე „მილანი" პერუჯას სტუმრობს, მერე ბრაზილიელი ჩინეთში უნდა ჩაფრინდეს და იქიდან დაბრუნებულს კი მორიგ ტურში რომის „ლაციო" ელის. გასაკვირი არაა, რომ „შავ-წითლებს" რივალდო გასაშვებად არ ემეტებათ, თუმც თვითონ ასე ფიქრობს: „ვითარება საკმაოდ აწეწილი და რთულია. როცა კლუბი ფეხბურთელის შეძენას დააპირებს, მაშინვე დაინტერესდებიან, თამაშობს თუ არა ის თავისი ქვეყნის ნაკრებში. თუ არა, არ იყიდიან, იმიტომ, რომ არავის სურს ასეთი მოთამაშე. შეიძენენ და, ყველა ხერხით ცდილობენ, ნაკრებში არ გაუშვან. ყველაფერი ეს აბსურდამდე მიდის და ხანდახან გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით. თუ მსგავსი პრობლემის აცილება სწადიათ, მაშინ კლუბებმა ნაკრების ფეხბურთელებზე უარი უნდა თქვან და საშუალო დონის მოთამაშეებით დაკმაყოფილდნენ. კი, ხელფასს კლუბები კი გვიხდიან, მაგრამ ხომ შეიძლება, ფეხბურთის ფედერაციებთან მოლაპარაკება? ისე, წარმოუდგენია, როგორი ტანჯვა მელის. ჯერ პერუჯა, მერე ჩინეთში გადასაფრენად პარიზში ჩასვლა მოგვიწევს, უკან დაბრუნებულს კი „ლაციო" მელის. მერე ჩემპიონთა ლიგაც განახლდება. ადამიანი ვარ, რობოტი ხომ არა?"

**ვაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი — გერმანია

ესპანეთი

*მეკარეები: იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია);*

*მცველები: აუგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), სეზარი (დეპორტივო), რაულ ბრავო (ლიდსი, ინგლისი), ივან ელგერა (რეალი), მიჩელ სალგადო (რეალი);*

*ნახევარმცველები: დავიდ ალბელდა (ვალენსია), ხოსე მარია გუტი (რეალი), ხოაკინი (ბეტისი), ხავი (ბარსელონა), რუბენ ბარახა (ვალენსია), ვისენტე (ვალენსია);*

*თავდამსხმელები: რაული (რეალი), დიეგო ტრისტანი (დეპორტივო), ხოსე მარი (ატლეტიკო), ხოსება ეჩებერია (ბილბაო)*

## თურქეთი — უკრაინა

თურქეთი

*მეკარეები: რუშთუ რექბერი (ფენერბაჰჩე), ომერ ჩატკიჩი (გაზიანთეფი), ზაფერ ოზგულთექინი (ანკარაგიუჯიუ);*

*მცველები: ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), ემრე აშიქი (გალათასარაი), ფათიჰ აკიელი (ფენერბაჰჩე), უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ალფაი ოზალანი (ასტონ ვილა, ინგლისი), ჰაქან უნსალი (გალათასარაი), აბდულა ერკანი (ფენერბაჰჩე), დენიზ ბარისი (გენჩლერი);*

*ნახევარმცველები: ერგუნ პენბე (გალათასარაი), ჯიჰან ჰასპოლატი (გალათასარაი), ტაიფურ ჰავუტჯუ (ბეშიქთაში), აჰმეთ ილდირიმი (ბეშიქთაში), ტუმერ მეტინი (ბეშიქთაში), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში), თუგაი ქერიმოღლუ (ბლექბერნი, ინგლისი), ოკან ბურუქი (ინტერი, იტალია), ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), ილდირაი ბაშთურქი (ლევერკუზენი, გერმანია), დავალა უმითი (გალათასარაი), ტაიფუნ კორკუტი (სოსიედადი, ესპანეთი), ჰასან შაში (გალათასარაი);*

*თავდამსხმელები: სერჰათ აკინი (ფენერბაჰჩე), არიფ ერდემი (გალათასარაი), ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), ილჰან მანსიზი (ბეშიქთაში), ფათიჰ ტეკე (ტრაბზონსფორი), მუსტაფა ოზქანი (დენიზლი)*

უკრაინა

*მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), დმიტრი შუტკოვი (შახტარი);*

*მცველები: ოლეგ ლუჟნი (არსენალი, ინგლისი), ანდრეი ნესმაჩნი, იური დმიტრულინი, სერგეი ფიოდოროვი, ალექსანდრ რადჩენკო (ყველა დინამო), მიხაილ სტაროსტიაკი, სერგეი პოპოვი (ორივე შახტარი), ვლადიმირ იეზერსკი (დნიპრო);*

*ნახევარმცველები: ვიქტორ სკრიპნიკი (ვერდერი, გერმანია), გენადი ზუბოვი, ანატოლი ტიმოშჩუკი (ორივე შახტარი), ანდრეი გუსინი (დინამო), სერგეი კონოვალოვი (არსენალი, კიევი), სერგეი სერებრიანიკოვი (ბრიუგე, ბელგია), სერგეი კორმილცევი (ტორპედო, რუსეთი), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი, რუსეთი), რუსლან როტანი (დნიპრო);*

*თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), სერგეი რებროვი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსანდრ მელაშჩენკო (დინამო), ანდრეი ვორონინი (მაინცი, გერმანია)*

## იტალია — პორტუგალია

# ოქროს თაობა დაქანგდა

### სკოლარის სუსტები და ნერვიულები არ სჭირდება

**ბრაზილიელთა** მეხუთედ გამსოფლიოსჩემპიონებელ ლუიშ ფელიპე სკოლარის, რომელმაც დეკემბერში პორტუგალიის ნაკრები ჩაიბარა, პირველი გამოცდა მომავალ ოთხშაბათს, გენუაში, „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ელის.

სკოლარიმ ბრძანა, მხოლოდ საუკეთესო ფიზიკურ ფორმაში მყოფ და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებულ ფეხბურთელებს მივიწვევო და ნაკრებს მიღმა ჟოაუ პინტუ, ვიტორ ბაია და ნუნუ გომეში დატოვა, ოღონდ იმედიც არავისთვის გადაუწურია: „ევროპის ჩემპიონატამდე 12 თუ 15 ამხანაგური მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და საიტალიო განაცხადი საბოლოო არ არის, შემადგენლობა კიდევ ბევრჯერ შეიცვლება."

მოგეხსენებათ, პორტუგალია, როგორც ევრო 2004-ის მასპინძელი, შესარჩევი ტურნირიდან გათავისუფლებულია და სკოლარის გუნდის მომზადება მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში შეუძლია.

იმასაც შეგახსენებთ, რომ 31 წლის პინტუმ, 33 წლის ბაიამ და 26 წლის გომეშმა დიდი წილი შეიტანეს პორტუგალიის ნაკრების წინა ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გასვლაში, ხოლო პინტუ და ბაია იმ „ოქროს თაობის" ფეხბურთელები არიან, რომელმაც 1989 და 1991 წლებში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატები მოიგო. თუმც ეს სამეული იმ გუნდშიც იყო, კორეა-იაპონიიდან სირცხვილნაჭამი რომ გამობრუნდნენ.

ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ მუნდიალზე, კორეასთან მატჩისას პინტუმ მსაჯს ხელი ჰკრა, რისთვისაც ფეხბურთიდან ოთხი თვით მოკვეთეს და 50 ათასი შვეიცარიული ფრანკიც გადაახდევინეს.



კორეასთან მატჩში ჟოაუ პინტუ რუი კოშტას გასაყავებელი შეიქნა

სკოლარის გუნდში ახალწვეულებიც არიან: ბენფიკელი ნახევარმცველი მიგელ მირანდა, ამავე პოზიციაზე მოთამაშე ლეირიელი სილას ფერნანდეში და პორტუელი ფორვარდი ელდერ პოსტიგა. ამასთანავე სკოლარიმ ნაკრებში დააბრუნა კარგა ხნის უთამაშებლები მარკუ კანეირა და ჟორჟე ანდრადე.

**გიორგი დარჯანია**

# საფგაზი

## ფნევა ჯერ დაბალია

**OPEN GAZ DE FRANCE**
**პარიზი. პარდი**
**საპრიზო 585 ათასი $**

**მეორე წრე**

**ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 7:5, 6:2; ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3, 6:4; ელენი დანილიდუ (8, საბერძნეთი) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:0, 6:4; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 4:6, 6:3; ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:4, 6:3**

მუხლის ტრავმის გამო ოთხი თვის განმავლობაში უთამაშებელი და წინა კვირაში საზარდულდაშავებული 23 წლის ამელი მორესმო კორტს მაინც მარიფათიანად მოუბრუნდა. მართალია, თავიდან საქმე კარგად არ წასვლია — სუგიამა 4:0 იგებდა, მაგრამ მერე და მერე თამაშს ლაგამი ამოსდო და პირველი მოწოდებიდან საათნახევრის თავზე მეოთხედფინალის საგზური მიითვალა.

მსოფლიოში რანგით 26-ე ჩოგნის მქნეველმა სუგიამამ ვერაფერი დაუპირისპირა ტურნირის 2001 წლის ჩემპიონის გლაჯუნა ხელწალმებს.

„თავიდან ძალიან ნელა ვირჯებოდი და გამიჭირდა — ამბობდა მერე მორესმო — მაშინ ჩემს თავს ვუთხარი, აქ რომ ხარ, გადასარევია, მაგრამ თუკი ცოტა თამაშზეც იფიქრებ, უკეთესი იქნება-მეთქი... როგორც შეხვედრამ აჩვენა, მენტალურად ყველაფერი რიგზე მქონია. თუმცა ამაზე მეტად საკუთრივ ჩემმა საჩოგნაო მზადყოფნამ გამაკვირვა. მოკლედ, ამდენი ხნის უქმობის შემდეგ რიგიანად დავბრუნდი და ჰალალად მიხარია."

სიხარულს ამელის მხოლოდ მისი თვისტომების, ციდა ემილი ლუასა და სათვალით მოსარჯე სტეფანი ფორეს გავარდნა თუ წაუმურდლავდა.



**ამელი მორესმოს საკუთარი ყოჩაღობა აკვირვებს**

ლუამ, ვინაც ავსტრალიის ღია პირველობის პირველსავე წრეში კინაღამ სერენა უილიამსი გააიმასქნა, ელენა დოკიჩს დაუთმო, ფორეს კი მერვე ნომრად განთესილი შავტუხა ბერძენი, დანილიდუ მოერია.

**INDIAN OPEN**
**ჰაიდარაბადი. ჰარდი**
**საპრიზო 140 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ტამარინე ტანასუგარნი (2, ტაილანდი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 7:6 (8:6), 6:3; ფლავია პენეტა (იტალია) — მარი პირსი (4, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:3; ირიდა ტულიაგანოვა (5, უზბეკეთი) — ციფორა ობცილერი (ისრაელი) 4:6, 6:2, 6:0; აიკო მორიგამი (იაპონია) — სილვია ტალაია (8, ხორვატია) 6:4, 6:2**

ყველაფერი თითქმის ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო — შებერებულმა, მრავალგზის ნატრავმალმა და ხორცმოკიდებულმა მარი პირსმა მეოთხედფინალს მიღმა ვეღარ გააღწია და იტალიელ პენეტასთან ჩაიფლავა, ხოლო მასზე ჭაბუკმა გოგონებმა — ზორბა ტანასუგარნმა და კოხტა ტულიაგანოვამ ნახევარფინალებისკენ გაილაღეს.

ტანასუგარნმა ნორჩი რუსი კირილენკო დაჩოგნა, ტულიაგანოვამ კი ციფორა ობცილერს, სექტემბერში თბილისის ღია პირველობაზე ნაპაექრალ ხუჭუჭა ისრაელელ გოგოს მოუგო.

ეგებ გახსოვდეთ, ციფორამ ჩვენებურ კორტებზე ნახევარფინალამდე იომა და იქ ჩეხ გაბრიელა ნავრატილოვასთან დამარცხდა.

თუკი ნახევარფინალშიც ყველაფერი მოსალოდნელისამებრ მოხდება, ტურნირის გადამწყვეტ შეხლას ერთმანეთში ტანასუგარნი და ტულიაგანოვა გამართავენ.

# აგასიმ ცოლი ვერ დაიყოლია

**ავსტრალიის** ღია პირველობაზე გაშლიგინების შემდეგ ანდრე აგასი ბაქი-ბუქის ხასიათზე მოსულა — მას სჯერა, რომ ახლა ყველას დამარცხება ხელეწიფება.

ამ ყველაში ის პიტ სამპრასსაც, მისი კარიერის უმთავრეს დოსტსა და რაყიფსაც მოიაზრებს — ვისაც მისთვის აქამომდელი 9-სლემმატჩიდან 6 მოუგია, ხოლო უკანასკნელად აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ფინალში უჯობნია.

„მჯერა, თუ ჩემს საუკეთესო ჩოგბურთს ვითამაშებ, ნებისმიერ მეტოქეს მოვერევი. ამაში ეჭვი არ მეპარება" — ამბობს აგასი.



ანდრე აგასი

საჩოგნეთში მოუთმენლად ელოდნენ სან ხოსეს ტურნირს, სადაც ორივე დიად ამერიკელს უნდა ეთამაშა. მაგრამ სამპრასმა ტურნირამდე ერთი კვირით ადრე განაცხადა, რომ კარგად ვერ მოემზადა და ამის გამო შინ დარჩენა არჩია.

„მან დაიმსახურა იმის უფლება, რომ მაშინ ითამაშოს, როცა ამის მუღამი ექნება — გაამართლა ანდრემ — თუმცა ისიც ცხადია, რომ უმისობა ტურნირს ჩემთვის ოდნავ გააუგემურებს... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაცას ვკარგავთ, რაღაც ისეთს, რის ანაზღაურებასაც ჩვენ, წარსულში მრავალი დიდი ბრძოლის გადამხდელნი, ვეღარასოდეს მოვახერხებთ..."

„თქვენ ამბობთ, რომ ახლა ძალიან ცოტა შეცდომას ვუშვებ? ჰო, ეს გამოცდილებას მოჰყვება... რისკავ, მაგრამ ყველაფერი გათვლილი გაქვს... თანაც — განვითარებას მე არა დარტყმების გაუმჯობესების, არამედ ფიზიკური ფორმის სრულყოფით ვცდილობ. მინდა, უფრო მარდი ვიყო, უფრო ცქაფად ვმოძრაობდე."

„სანამ ჯანმრთელი ვარ და ხალისი მაქვს, შემიძლია, უკეთესადაც ვითამაშო, უფრო განვვითარდე და მოვუმატო. განა ცოტა გვინახავს ათლეტები, კარიერის პიკზე 30 წლისანი რომ გადიან... ჩოგბურთში ეს ეგებ ტიპიური არ იყოს, მაგრამ მე ვცდილობ, სხეულს განსაკუთრებული გამოცდები არ მოვუწყო, მშვიდად, რაციონალურად გამოვიყენო მისი რესურსები, არ გადავძაბო და არ ავჭრა."

„შტეფის დაყოლიება თუ მოვახერხე? ჯერ ვერა, მაგრამ მე ძალიან მინდა, როლან გაროსზე მასთან ერთად ვიჩოგნაო. შტეფის გვერდით კორტზე ყოფნა ჩემთვის ყველაზე სანატრელი რამეა."

**ლევან ძელაურაძე**



# მერიონ ჯონსი ნამუსს უფრთხილდება

**ამერიკელმა სპრინტერმა,** სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერიონ ჯონსმა მწვრთნელ ჩარლი ფრენსისთან თანამშრომლობას წერტილი დაუსვა. ჯონსმა ამის შესახებ გუშინ ოფიციალურად განაცხადა და დასძინა, რომ ეს საყოველთაო ზეწოლის გამო გააკეთა. პირმშვენიერი მერიონის გადაწყვეტილება ხელების დაბანას უფრო ჰგავს, ვიდრე მის და მისი ბოიფრენდის, მსოფლიოს რეკორდსმენ ტიმ მონტგომერის ირგვლივ ატეხილი აურზაურიდან თავის ღირსეულად დაძვრენას.

შეგახსენებთ, ჯონსსა და მონტგომერის მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაცია (IAAF) დოპინგ-ტესტზე იბარებს. მიზეზი ამ წყვილის სკანდალურად ცნობილ ინგლისელ მწვრთნელ ჩარლი ფრენსისთან თანამშრომლობაა. ფრენსისი თავის დროზე მსოფლიოს რეკორდსმენ კანადელ ბენ ჯონსონს ავარჯიშებდა. სეულის ოლიმპიადაზე ჯონსონი დოპინგში ამხილეს, ფრენსისმა კი აღიარა, ეგ ამბავი ოლიმპიადამდე ვიცოდიო. ფრენსისს კანადაში მუშაობა აეკრძალა და მანაც საქმე არაკანადელებთან დაიჭირა.

IAAF ეჭვობს, რომ ფრენსისი ჯონსსა და მონტგომერის სტიმულატორებით ავარჯიშებს და სპრინტერების შემოწმებას ითხოვს. იმასვე ითხოვენ „ოქროს ლიგის" ხელმძღვანელები და ტურნირის სპონსორები. სწორედ მათ აღანაშაულებს ჯონსი ზეწოლაში: „მინდოდა ფეხის და ტექნიკის გაუმჯობესება ვიცი, რომ ძალიან ბევრი ცნობილი სპრინტერი და მწვრთნელი ფრენსისს ეკითხება რჩევებს. ფრენსისმა რამდენიმე თვეში იმდენი გააკეთა, რასაც სხვა სამ-ოთხ წელს ანდომებს. არ მეგონა, თუ მის გარშემო ამხელა აყოტაკო ატყდებოდა. იმედი მქონდა, რომ ჩვენი თანამშრომლობა სპეკულაციის ობიექტი არ გახდებოდა. ვიღაც ეჭვიანების და სპონსორების ზეწოლას ვერ გავუძელი. იძულებული ვარ, ჩარლისთან თანამშრომლობა შევწყვიტო. ისე კი, იცოდეთ, არასდროს მიმიღია დოპინგი და არც ვაპირებ."

მერიონმა გააკეთა თავისი არჩევანი, არადა, ორიოდ დღის წინ ბაქიბუქობდა, დოპინგ-ტესტსაც ჩავიტარებ და ფრენსისთან კიდევ ორ-სამი წლით გავახანგრძლივებ კონტრაქტსო.

ჯერი ახლა მის შეყვარებულ ტიმ მონტგომერიზეა. იგი ჯერ არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა დიდი შანსია, სატრფოს მიბაძოს და ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყოს.

როგორც არ უნდა განქითარდეს მოვლენები, ჯონსი და მონტგომერი დოპინგ-ტესტს ვერ ასცდებიან. სპრინტერები ლაბორანტებს ალბათ იქით კვირაში ჩაბარდებიან.

**სპარტაკ სირბილაძე**



### არის იდეა

# ბადრი პატარკაციშვილი ნამუსზე აგდებს

## პრემია... სპორტთან მჭყრალად მყოფი ხელმძღვანელისთვის

**ოლიმპიურ თამაშებზე** საქართველოსთვის მთავარი დამრტყმელი თუ გამწევი ძალა მუდამ იყვნენ მოჭიდავეები, რომლებიც იქიდან უმედლოდ არასოდეს დაბრუნებულან.

ჩვენი მოჭიდავეები ასეთებად დარჩებიან 2004 წლის ათენის XXVIII ოლიმპიურ თამაშებზეც და, როგორც თავად თქვეს, მათი იმედი მომდევნო, 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზეც უნდა გვქონდეს. საამისოდ ჩვენს მწვრთნელებს, როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, უკვე შეუგულებიათ ბიჭები, მაგრამ რაკი პეკინამდე ათენია, გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომაზე სწორედ XXVIII თამაშებისთვის ჩვენი ფალავნების მზადების მიმდინარეობის შესახებაც იმსჯელეს. ამის თაობაზე მოისმინეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის ინფორმაცია; წონითი კატეგორიების მიხედვით ნაკრების კანდიდატებზე და მათ შანსებზე ილაპარაკეს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა უფროსმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ. მათი თქმით, ნაკრებში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა, რაც მოჭიდავეთა მზადყოფნას ხელს უწყობს. ისინი იმედოვნებენ, რომ ოლიმპიურ ლიცენზიებს ყველა წონით კატეგორიაში მოიპოვებენ და გაამართლებენ სეოკ-ის დევიზს „უკეთ, ვიდრე სიდნეიში".

უკეთ გამოსვლაში, ბუნებრივია, „ბრინჯაოს ხანიდან" გამოსვლა იგულისხმება.

ალმასკომის სხდომაზე ითქვა, ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიები წლეულსვე უნდა მოვიპოვოთ, რათა გაისად ჩვენმა მოჭიდავეებმა ამაზე კი არ იფიქრონ, არამედ საოლიმპიადო სამზადისზე.

წლეულს ლიცენზიებისთვის მთავარი ბრძოლა გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სადაც ათენის საგზურს პირველ 10-10 ადგილზე გასული ფალავნები დაიმსახურებენ. სალიცენზიო ტურნირები მანამდეც გაიმართება, მაგრამ მთავარი მაინც მსოფლიოს ჩემპიონატები იქნება.

ჩვენი მწვრთნელები აგრეთვე განსაკუთრებით არიან დაინტერესებული ორივე სახეობაში წლევანდელი მსოფლიო თასების გათამაშებით, სადაც ჩვენმა გუნდებმა მონაწილეობის უფლება დაიმსახურეს. როგორც ალმასკომის სხდომაზე მწვრთნელებმა თქვეს, ჩვენი გუნდები მთლიანობაში კარგი მოჭიდავეებით იქნება დაკომპლექტებული, რომლებიც გუნდურ პირველობას შესძლებენ, რისთვისაც მათ აქამდე არ მიუღწევიათ.

ალმასკომის სხდომაზე განხილული საკითხებიდან საინტერესო იყო ოლიმპიზმის პოპულარიზაციის მიზნით 2003 წლის სპორტული შედეგების გათვალისწინებით სხვადასხვა ნომინაციაში კონკურსის გამოცხადების შესახებ მსჯელობა. ითქვა, რომ დაჯილდოვდება კონკურსის შედეგად გამარჯვებული სამ-სამი საუკეთესო სპორტსმენი და მწვრთნელი, აგრეთვე სპორტული ფედერაცია, ჟურნალისტი, მეცენატი... თუმცა, ამ უკანასკნელზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტმა და სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა თქვა, ვინც ჩვენს ოლიმპიურ მოძრაობას და ოლიმპიელებს ეხმარება, ყველანი ალმასკომის წევრები ვართ და ერთმანეთს ხომ არ დავაჯილდოვებთო. იქვე საკუთარი წინადადებაც წამოაყენა, საუკეთესო მეცენატი სეოკ-ის ალმასკომის წევრთა მიღმა გამოვავლინოთო, რაც ყველამ მოიწონა.

კი მოიწონეს, მაგრამ ასეთი პიროვნების დადგენა, ჩვენი აზრით, მეტად გაძნელდება, გაძნელდება არა იმიტომ, ისინი ბევრნი და ერთმანეთზე უკეთესნი არიან, არამედ იმიტომ, რომ ამ ნომინაციაში წარსადგენ კანდიდატურას თითქმის ვერც ვიხსენებთ.

სხვათა შორის, ბადრი პატარკაციშვილმა წამოაყენა სხვა იდეაც — გამოვავლინოთ ამა თუ იმ რაიონის, ქალაქის ხელმძღვანელი, რომელიც სპორტისთვის არაფერს აკეთებს და ამისთვის... პრემიით დავაჯილდოვოთ. იქნებ დანამუსდეს და მომავალში რამე იღონოსო.

ნამუსზე აგდების ამგვარი იდეაც მოიწონეს. ახლა ისღა დაგვრჩენია, სეირის მოლოდინით აღვივსოთ. ისე კი, ამ ბოლო ნომინაციაში, გვიყვარდეთ, „გამარჯვების" მრავალი კანდიდატი გამოჩნდება.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნიკა ცქიტიშვილის ნბა-ში ყოჩაღობით ვერ ვართ განებივრებულნი, თუმც დროდადრო ბეჩავ დენვერელთაგან ჩვენებურიც გამოიღებს ხოლმე ხელს. ასე იყო წინა შაბათს, ნიკამ ყოჩ „დალას მავერიკსთან“ 15 ქულა მოქაფა. ამ მატჩში ნიკამ თავის „კერპ“ დირკ ნოვიცკისგან თვალში მუშტი მიიღო, „ვიზარდსთან“ კი ნოვიცკიზე დიდმა კალათბურთელმა მაიკლი ჯორდანმა იზრუნა ქართველზე და შუა მოედანზე დაუწყო თამაშის სწავლება... სასწავლი კი მართლაც რომ ბევრი აქვს ცქიტიშვილს: კალათბურთთან ერთად მას არ აწყენდა მანქანის მართვის ცოდნა გაეღრმავებინა — საგზაო პატრულთან ქცევის წესების უცოდინარობის გამო პოლიციელს იარაღი დაუღერებია ნიკასთვის...*

*ცქიტიშვილთან საუბარი დალასური მატჩით დავიწყეთ...*

# შვლის ნუკრის ნაამბობი

## ცქიტიშვილი ჯორდანმა მოატყუა, შაკილმა შეაშინა, ნოვიცკიმ დაალურჯა

— საოცარი დღე იყო, რაც ვესროლე, თითქმის ყველა ჩავაგდე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ასე თავისუფლად არასდროს მითამაშია. მატჩის შემდეგ დალასელთა მწვრთნელები ბზდელიკთან მივიდნენ და შემაქეს. ჩემმა მწვრთნელმა მითხრა, დალასელები კარგ მსროლელებზე გიჟდებიან და მათი მოწონებაც იმიტომ დაიმსახურეო.

**— თავად ბზდელიკმა თუ შეგაქო?**

— რა თქმა უნდა. ბზდელიკი კი არა, მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა გამომიჭირეს და კარგა ხანს ვერ დავაღწიე მათ თავი.

**— ცხადია, „დალასთან“ მატჩს საუკეთესოდ მიიჩნევ შენს ამერიკულ კარიერაში...**

— „ლეიკერსთან“ მატჩთან ერთად. ლოსანჯელესელებს ახალი წლის დღეებში შევხვდით და მაშინ 12 ქულა ჩავაგდე.

**— შაკილ ონილთან მოგიწია თამაში?**

— ერთად კი ვიყავით მოედანზე, მაგრამ აბა, რას გავეკარებოდი. ერთ ეპიზოდში ისე მოხდა, რომ ბურთიანი შაკილი ფარქვეშ ჩემს პირისპირ დარჩა. ის ჩასატენად წამოვიდა, ერთი კი ვიფიქრე, დავუფარებ-მეთქი, მაგრამ შეიძლებოდა, ეს ამბავი ჩემი კარიერის დასრულებით დამთავრებულიყო და განზე გავდექი.

**— არადა, „დალასთან“ მატჩის შემდეგ ბზდელიკს უთქვამს, ცქიტიშვილი სულ უფრო ხშირად ებმება ძალისმიერ ორთაბრძოლებშიო...**

— ამ ბოლო დროს კიდევ უფრო მოვედი ჯანზე. ეგ სიტყვები ბზდელიკმა იმიტომ თქვა, რომ დირკ ნოვიცკისთან და შონ ბრედლისთან ბრძოლაში თვალი ჩამილურჯდა. ერთ ეპიზოდში ამ ორ კალათბურთელს შორის აღვმოჩნდი ფარქვეშ. ჩატენვა მოვინდომე და ავხტი, მაგრამ სახეში ისეთი მომხვდა, ორი წუთი თავბრუ მესხმოდა. მერე ტელევიზორში ვნახე, თურმე ნოვიცკის ჩაურტყამს.

**— მაინც რას ფიქრობ, „დალასთან“ რატომ წაგივიდა თამაში?**

— ალბათ, იმიტომ, რომ ბზდელიკმა მალე არ გამიყვანა მოედნიდან.

**— რატომღაც ისე ხდება, რომ ძლიერ გუნდებთან უფრო შედეგიანი ხარ...**

— ძლიერებთან გარანტირებული გვაქვს წაგება და მწვრთნელი თამამად მათამაშებს. ხშირად ვცდები, მაგრამ მაინც არ გავყავარ, საშუალო გუნდებთან კი ერთ შეცდომას არ მაპატიებს. „დალასთან“ მატჩის მეორე დღეს ჩვენსავით სუსტ „მემფისს“ ვხვდებოდით და ბზდელიკმა მხოლოდ რამდენიმე წუთით შემიყვანა მოედანზე. არადა, სხვებს მეტს პატიობს. არ ვიცი, რით ვერ დავიმსახურე მისი ნდობა.

**— სხვები უფრო შედეგიანად თამაშობენ და ალბათ იმიტომ...**

— კარგებიც არიან, მაგრამ ბევრი ისეთიც თამაშობს, არაფრით ჩამოვრჩები. თანაც ჩემსავით ნაღდი სამი ნომერი მხოლოდ ბოუენია, მისი ძირითადი შემცვლელი ჰარვი კი უფრო თავდამსხმელობს. თუმც ჰარვი ჩემზე მეტს თამაშობს. დიდი წარმოდგენა არ მაქვს საკუთარ თავზე, მაგრამ ვფიქრობ, ბზდელიკი არასწორად მექცევა. ამ სეზონის იმედი არ მაქვს, შევეცდები, ძირითადში ფეხი მომავალ სეზონში მოვიკიდო.

**— ნბა-სთვის ალღოს აღება იოლი არ არის, თუმც დრაფტზე შენს მერე არჩეულმა არაერთმა ახალბედამ ეს მოახერხა...**

— ჩემს წარმატებაში ჩემზე მეტად ბზდელიკი იყო დარწმუნებული, ზაფხულში მეუბნებოდა, საუკეთესო ახალბედა უნდა გახდეო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ახალბედების „ოლ სტარშიც“ ვერ მოვხვდი.

**— ხომ არ ნაღვლობ, უშენოდ რომ ჩაივლის მცირე „ოლ სტარი“?**

— აქაურ პრესასაც ვუთხარი და იგივეს გავიმეორებ — ეს ჩემთვის ტრაგედია არ არის, არ ამირჩიეს და მორჩა. ახლა ვეცდები, დიდი „ოლ სტარი“ ვითამაშო, რისთვისაც მრავალწლიანი შრომა მომიწევს.

**— ახალბედებში ვის მიიჩნევ საუკეთესოდ?**

— მაიამელ კერონ ბატლერს. იგი ჯერჯერობით იაო მინგზე მაგარია, მაგრამ მოვა დრო, ჩინელი სუპერვარსკვლავი გახდება.

**— „მაიამისთან“ თამაშისას ვლადიმერ სტეფანიასაც შეხვდებოდი...**

— „მაიამი“ დენვერში რომ ჩამოვიდა, სასტუმროში მივედი სტეფანიას სანახავად. სახლში მივიპატიჟე და, ასე ვთქვათ, ქართულად წავუქეიფეთ. დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპურები რომ იგემა, ქართული კერძები მომენატრაო, თქვა. მითხრა, პატ რაილის მოვწონვარ და ალბათ მომავალ სეზონშიც დამიტოვებსო. მოედანზე კი ორივემ 4 ქულა გავაკეთეთ.

**— ახლახან „ვაშინგტონსა“ და მაიკლ ჯორდანს შეხვდით...**

— ბოლო წუთებზე შევედი მოედანზე. ჯორდანი მოვიდა და მეუბნება, ვიცი ევროპელი ახალბედა ხარ და გაგიფრთხილდებიო. არ ვიცი, რა იგულისხმა, მაგრამ ერთ ეპიზოდში ბურთით წინ დამიდგა, ასე ვთქვათ, ერთი-ერთზე გამომიწვია. შევეცადე მის გაჩერებას, მაგრამ იოლად მომატყუა, ფართან პირისპირ დარჩა და... აცილა. ვუთხარი, ეს როგორ მოგივიდა მეთქი, გაიცინა, ხელი მომარტყა და მიპასუხა, სხვა დროს ჩაგიგდებო.

**— ჩვენი ბოლო საუბრისას ამბობდი, „დენვერის“ პრეზიდენტი კიკი ვანდევეიჯი საახალწლოდ მეწვევაო...**

— ახალ წელს სხვა დენვერელებთან ერთად მიმიპატიჟა, თავად კი 14 იანვარს, ჩვენებურად ძველ ახალ წელს მესტუმრა. მასთან შვედური სუფრა იყო, ფეხზე მდგარი, სალათ-ბუტერბროდებს მივირთმევდით. ჩემთან კი ნაღდი ქართული სუფრა გაიშალა, რაშიც რუსული სუპერმარკეტი დამეხმარა. იქ რუსებისთვის ცნობილი თითქმის ყველანაირი ჩვენებური პროდუქტი იყიდება. სულგუნი რომ ვნახე, მთლად გადავირიე... კიკისთან ერთად „დენვერის“ თითქმის ყველა ხელმძღვანელი მსტუმრობდა და ყველა აღფრთოვანდა ჩვენი სამზარეულოთი.

**— ძველით ახალ წელს ამერიკაში არ აღნიშნავენ. ნბა-ს გადატვირთული გრაფიკისას როგორ მოახერხე გუნდის ხელმძღვანელობის შენთან შეკრება?**

— გასვლითი მატჩი გვქონდა და სწორედ 14 იანვარს ჩამოვფრინდით პორტლენდიდან დენვერში. აეროპორტიდან პირდაპირ ჩემთან წავედით. ისე, ის დღე არასდროს დამავიწყდება, კინაღამ უბედურება შემემთხვა. სწრაფად მოვდიოდი და უკნიდან სირენიანი მანქანა წამომეწია. სახანძრო მეგონა და ყურადღება არ მივაქციე. მან კი გზა მომიჭრა, თურმე შერიფის მანქანა ყოფილა. როცა პოლიცია გაჩერებს, ხელები საჭეზე უნდა დააწყო და არ უნდა გაინძრე. მე კი არხეინად გადმოვედი მანქანიდან და პოლიციელისკენ წავედი. უცბად იარაღი დაამრო და მომიშვირა, არ გაინძრე თორემ გესვრიო... საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა. როცა გაიგო, რომ არ ვიცოდი, ასეთ შემთხვევაში როგორ მოვქცეულიყავი, სიკვდილს გადაურჩიო, მითხრა. ბოლოს დაამყოლა, ტერორისტი მეგონეო.

**ირაკლი ბერტაია**



ნიკა ცქიტიშვილი ფარქვეშეთს გაეჩვია



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ირაკლი ჯაფარიძემ ყოფილ თავისიანებს 32 ქულა „მიუძღვნა“

### საქართველოს თასი 2003

### რუსთავი. 3–8 თებერვალი

# ნაცნობი თემა

## გაგდება–შეგდება–ჩაგდება

7 თებერვალი. რუსთავი

**ბასკო 88:80 სტუ**

**ბასკო: ბაბიაშვილი (27), წოწელია (19), ი. ბერიშვილი (13)**

**სტუ: ლოსაბერიძე (25), ტულუში (15)**

**აზოტი 86:64 დინამო**

**აზოტი: ჯაფარიძე (32), გოგობერიშვილი (22), ძლენტი (10)**

**დინამო: მინაშვილი (22), ხოშტარია (10)**

**დონისა** რა მოგახსენოთ და ქართულ კალათბურთს არასდროს აკლდა დაძაბულობა, მოულოდნელობები თუ ინტრიგები. ეროვნული ჩემპიონატის მიკრო მოდელით ჩატარებულ თასის პირველ გათამაშებასაც ყველა ეს „სიკეთე“ უხვად ახასიათებს. აგერ მოულოდნელობაც, რუსთავის „აზოტმა“ ნახევარფინალში დაამარცხა ფავორიტი „დინამო“.

„დინამო“ მრავალი მიზეზის გამო ჩაითვლება ფავორიტად. გუნდს წვრთნის სახელოვანი ლევან მოსეშვილი, კლუბს ზურგს უმაგრებს მყარი ფინანსური ბაზისი და რაც მთავარია გუნდში ირიცხება ჩვენში შემორჩენილ კალათბურთელთა საუკეთესო ნაწილი, აგრეთვე რამდენიმე ლეგიონერი, რომელთაც აქაური საზომებით წუნი არ დაედებათ. ლევან მოსეშვილის განკარგულებაში იმდენი კარგი მოთამაშე იყო, რომ მისი გუნდის ხელმძღვანელებმა უმტკივნეულოდ დაამოკლეს საკმარისზე გრძელი სათადარიგოთა სკამი — ირაკლი ჯაფარიძე და არჩილ ძლენტი რუსთავის „აზოტს“ დაუთმეს.

ბევრს ეხსომება, რომ ჯაფარიძე და ძლენტი ძველი აზოტელები არიან. ამიტომ ისინი ყოველგვარი სააკლიმატიზაციო ვადის გარეშე მოერგნენ რუსთაველ გუნდს. ჯაფარიძე, ხომ საერთოდ რუსთაველია, „აზოტის“ სკოლის აღზრდილია. ჰოდა, ირაკლიმ გუშინ „აზოტს“ „დინამო“ დაამარცხებინა.

კარგა ხანია, ჯაფარიძეს ასე კარგად არ უთამაშია. ამის გამო იქნებ მიგვავიწყდა კიდეც თუ რა შეუძლია მას. და თუ რა შეუძლია, ეს ყველაზე უკეთ „დინამომ“ ნახა. რუსთაველთა ცენტრმა თავის ყოფილ გუნდს 32 ქულა ჩაუგდო, მეტი წილი ძველი მეგობრის და თანამებრძოლის რამაზ გოგობერიშვილის პასებით. აღსანიშნავია, რომ დინამოს ორ ლეგიონერ ცენტრს, ჯაფარიძის უწინდელ კონკურენტებს სერბ იოვან სიროვინასა და სომეხ არმენ ოგანესიანს ჯამში 13 ქულა თუ მოუგროვდათ.

„დინამომ“ მხოლოდ პირველ ნახევარში გაუძლო ჯაფარიძე-გოგობერიშვილის დუეტს, ტაიმიც 8 ქულით წააგო, მერე კი საოცრად იოლად ჩამორჩა მეტოქეს. საბოლოოდ რუსთაველებმა 22-ქულიანი სხვაობით სძლიეს ჩემპიონატისა თუ თასის მთავარ ფავორიტს და თავადაც კვლავ ფავორიტებში ჩაეწერნენ.

გუშინვე და რუსთავშივე გაირკვა საქართველოს პირველი თასის მეორე ფინალისტიც. ეს გახლავთ ბათუმის „ბასკო“, რომელმაც გაცილებით დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის საკმაოდ სოლიდური გუნდი. ჯაფარიძის ანალოგი ბათუმელებსაც აღმოაჩნდათ — ზვიად ბაბიაშვილი. ბაბიაშვილი „ბასკოში“ ამ სეზონის წინ სწორედ სტუ-დან გადავიდა. ახლა ზვიადმა ყველაზე მეტად მოიწადინა ყოფილი თავისიანების ძლევა, მან სტუ-ს 27 ქულა ჩაუგდო.

თასის ფინალი კი დღეს რუსთავშივე ქიმიკოსთა დარბაზში შედგება. რუსთავის „აზოტი“ და ბათუმის „ბასკო“ თასისთვის ბრძოლას 15 საათზე დაიწყებენ.

**ირაკლი ბერტაია რუსთავიდან**

Euroleague

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 5-6 თებერვალი

# ყველაზე არაქართული

**წინა სეზონიდან**, რაც მევრო-ლიგე ქართველთა ოდენობა სამამდე გაიზარდა, ვერ ვიხსენებთ ტურს, ჩვენებურნი ასე უხეიროდ რომ გარჯილიყვნენ. ულქერელმა ზაზა ფაჩულიამ ნაოპერაციევი თითის გამო გამოტოვა პოლონურ „შლიონსკთან" მატჩი, ბენეტონელი მანუჩარ მარკოიშვილის ერთი წუთით მოედანზე ყოფნასაც ვერ ვუწოდებთ თამაშს და გვრჩება ვლადიმერ ბოისა, რომელიც ოლიმპიელებს კინკილა პასით შეეწია „სიენასთან" მატჩში.

თუმც ჯერ ყველაფერი წინაა ქართველთათვის, მათ გუნდებს მომდევნო ჯგუფურ ეტაპზეც მოუწევთ ბურთაობა. ამ ეტაპის ბოლო ტურში „ბენეტონი" მაჩანჩალა აეკ-ს ისტუმრებს და დაამარცხებს, რითაც A ჯგუფში იპირველებს. „ულქერს" B ჯგუფში განაღდებული აქვს მეორე ადგილი, „ოლიმპია" კი, თუ ათენში „პანათიანიკოსს" სძლევს, „ბენეტონისა" არ იყოს, ჯგუფის ყოჩად გაასრულებს ამ ეტაპს.

სულ კი, 16 გამსვლელიდან 11 გუნდს მოუკვარახჭინებია საქმე. A ჯგუფში ხუთივე იღბლიანია ცნობილი, B-დან კი, მეხუთე გამსვლელი ალბათ თელავივის „მაკაბი" იქნება, რომელიც „ქალგირისს" ისტუმრებს და სავარაუდოდ, დასჯაბნის კიდეც.

C ჯგუფში მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ ცსკა პირველზე, „ულქერი" კი მეორეზე გავა. აქ აუტსაიდერ „პარტიზანის" გარდა, ყველა დანარჩენ გუნდს აქვს მომდევნო ეტაპზე გაღწევის შანსი. შანსიანი ხუთია, გამსვლელი სამი, ყველაფერი ბოლო ტურში, 12-13 თებერვალს გაირკვევა.

დარჩა ერთი სამეორეტაპო საგზური, რომელსაც საუკეთესო მეექვსეადგილოსანი მიიღებს.

**ირაკლი ბერტაია**

### A ჯგუფი

**სკიპერი 82:75 ბენეტონი**
**სკიპერი:** დელფინო (22), ბარტონი (13), ბაზილე (11)
**ბენეტონი:** იდნი (25), ლანგდონი (15), ბულერი (13)

**ბარსელონა 104:82 ციბონა**
**ბარსელონა:** ნავარო (17), იასიკევიჩუსი (17), დე ლა ფუენტე (14)
**ციბონა:** მუეძინოვიჩი (17), პლანინიჩი (12)

**პო ორტეზი 97:82 ალბა**
**პო ორტეზი:** სელერსი (17), მ. პიეტრუსი (16), ჟულიანი (14)
**ალბა:** სტანოევიჩი (22), კოლინზი (18), პეშიჩი (16)

**აეკ 64:81 ეფესი**
**აეკ:** დიკუდისი (17), ხაძისი (13)
**ეფესი:** ბრაუნი (26), კამბალა (21)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 13 | 10 | 3 | +132 | 23 |
| ბარსელონა | 13 | 10 | 3 | +75 | 23 |
| ეფესი | 13 | 8 | 5 | +76 | 21 |
| სკიპერი | 13 | 8 | 5 | +4 | 21 |
| ციბონა | 13 | 6 | 7 | -58 | 19 |
| პო ორტეზი | 13 | 5 | 8 | -50 | 18 |
| ალბა | 13 | 4 | 9 | -94 | 17 |
| აეკ | 13 | 1 | 12 | -85 | 14 |

### B ჯგუფი

**უნიკახა 69:75 პანათინაიკოსი**
**უნიკახა:** ოკულაია (12), ვოიჩიკი (11)
**პანათინაიკოსი:** ბადორდი (13), ლაკოვიჩი (12)

**ოლიმპია 94:92 სიენა**
**ოლიმპია:** პუკიჩი (19), შტელმარხესი (16), ბოისა (14 წუთი, 1 პასი)
**სიენა:** ფორდი (22), სტეფანოვი (14), თურქჯანი (13)

**ბუდუჩნოსტი 80:89 მაკაბი**
**ბუდუჩნოსტი:** ბაკიჩი (16), ჩაბარკაპა (16)
**მაკაბი:** ლუისი (18), ვუიჩიჩი (17)

**ჟალგირისი 88:67 ტაუ**
**ჟალგირისი:** ტიმინსკასი (18), ბერდი (17), სალენგა (14)
**ტაუ:** სკოლა (16), ნოჩიონი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 13 | 10 | 3 | +62 | 23 |
| ოლიმპია | 13 | 9 | 4 | +55 | 22 |
| ტაუ | 13 | 8 | 5 | +20 | 21 |
| უნიკახა | 13 | 6 | 7 | +18 | 20 |
| მაკაბი | 13 | 6 | 7 | +43 | 19 |
| სიენა | 13 | 5 | 8 | -23 | 18 |
| ჟალგირისი | 13 | 5 | 8 | -49 | 18 |
| ბუდუჩნოსტი | 13 | 2 | 11 | -126 | 15 |

### C ჯგუფი

**ულქერი 79:70 შლიონსკი**
**ულქერი:** ბლერი (19), ბოლიოვიჩი (15)
**შლიონსკი:** კოლსონი (26), ტომიჩიკი (16)

**ცსკა 80:65 კინდერი**
**ცსკა:** ალექსანდერი (16), ხაძივრეტასი (16), სონგაილა (13)
**კინდერი:** სმოდიში (26), კოტუროვიჩი (12)

**ოლიმპიაკოსი 71:68 რეალი**
**ოლიმპიაკოსი:** ჯონსონი (20), მარკოვიჩი (18), ევანსი (12)
**რეალი:** მუმბრუ (13), ერეროსი (13), ალსტონი (12)

**ვილერბანი 104:103 პარტიზანი**
**ვილერბანი:** სმიტი (18), მარცელიჩი (18), გულიაში (17)
**პარტიზანი:** ვუიანიჩი (27), კეცმანი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 11 | 2 | +133 | 24 |
| ულქერი | 13 | 9 | 4 | +47 | 22 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 6 | 7 | +21 | 19 |
| კინდერი | 13 | 6 | 7 | -13 | 19 |
| რეალი | 13 | 6 | 7 | -11 | 19 |
| ვილერბანი | 13 | 5 | 8 | -32 | 18 |
| შლიონსკი | 13 | 5 | 8 | -75 | 18 |
| პარტიზანი | 13 | 4 | 9 | -70 | 17 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# DEN-VERY-VERY CRUSH
# ეგების მოგების დენვერს წაგება ეგების

6 თებერვალი

**დენვერი 74:83 სან ანტონიო**
**დენვერი:** ჰარინგტონი (5), იარბრო (2), ბოუენი (5), ჰოვარდი (23 ქულა, 11 მოხსნა), ილარიო (14); ვაიტი (8), ვიტნი (8), ანდერსენი (5), ჰარვი (2), ბლუნტი (2), ცქიტიშვილი (11 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა)
**სან ანტონიო:** პარკერი (23), ჯეკსონი (2), ბოუენი (3), როუზი (13 ქულა, 10 მოხსნა), დანკანი (25); კერი (5), ვილისი (4), სმიტი (3), ფერი (3), ჯინობლი (2)

**ნიუ იორკი 100:114 ლეიკერსი**
**ნიუ იორკი:** სპრიუელი (24), ეისლი (16)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (46), ონილი (33)

**მილუოკი 97:91 სიეტლი**
**მილუოკი:** ალენი (27), ტომასი (19)
**სიეტლი:** პეიტონი (27), ლუისი (18)

ყველაფერი არც ისე ცუდად მიდიოდა მესამე მეოთხედამდე. მართალია, „დენვერი" ერთთავად აგებდა, მაგრამ მაინც რიგიანად თამაშობდა და კუდში მიჰყვებოდა პირველივე წუთებიდან დაწინაურებულ „სან ანტონიოს". კოლორადოელები „დენვერი" ამ გუნდთან რომ წააგებდნენ, ეს მათ ყველაზე ოპტიმისტ ქომაგებსაც არ ეეჭვებოდათ. ტრიბუნები ტაშითაც კი შეეგებნენ სანანტონიოელთა ღვაწლმოსილ ვეტერან დევიდ რობინსონს, რომელმაც ეს თამაში ტრავმის გამო გამოტოვა, ამ სეზონის შემდეგ კი პენსიაზე გასვლას აპირებს. კარგა ხანია, „ნაგიტსი" „სფურზის" კალიბრის გუნდად არ ითვლება და თუ მასთან 30 ქულით არ წააგო, არავინ მოსთხოვს პასუხს.

იმას ვამბობდით, რომ „დენვერი" რიგიანად ირჯებოდა პირველ ტაიმში, მესამე მეოთხედამდე, სანამ ჭაბუკმა სანანტონიოელმა ტონი პარკერმა არ აურია ყველაფერი. ამ სიცოცხლით და ხალისით ალსავსე ფრანგმა ბიჭუნამ დიდი შესვენების შემდეგ გარღვევებით და თვალმიუყოლებელი პასებით ერთიანად დასერა მასპინძელთა დაცვის ცოცხალი კედელი, გააბრუა „ნაგიტსის" ორივე გამთამაშებელი — ბებერი კრის ვიტნიცა და ახალგაზრდა ლორინზა ჰარინგტონიც და თავისწილად მხოლოდ მესამე მეოთხედში 19 ქულა ჩაუგდო ნიკა ცქიტიშვილის გუნდს. ყველაფერიც ამ დროს გადაწყდა. ცქიტიშვილი ვახსენეთ და ისიც ალვნიშნოთ, რომ ჩვენებურმა ეს შეხვედრა უქულოდ დაასრულა. იმ დღეს მოედანზე გამოჩენილ 10-10 დენვერელ და სანანტონიოელ მოთამაშეთაგან მან ერთადერთმა ვერ მოახერხა თუნდაც ქულის ჩაგდება.

ამასობაში კი ჩემპიონურად ათამაშებულმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა" მორიგი გამარჯვება ჩაიწერა და ერთხელაც გაგვახსენა, რომ აქამდე მხოლოდ თვლემდა. ლოსანჯელესელები „ნიუ იორკს" სტუმრობდნენ და მათთან ფიცხელ ბრძოლაში იძალეს. ორმა სუპერლეიკერსელმა — შაკილ ონილმა და კობი ბრაიანტმა თავიანთი საქმე გააკეთეს — კობიმ პერიმეტრიდან მოაოხრა „ნიქსის" კალათი, 46 ქულა ჩააგდო, დევშაკმა კი ფარქვეშ მის გარშემო შემოჯარული ნიუიორკელი წვრილფეხობა გოლიათური სხეულით იოლად მიწი-მოწია და თავისიანებს სამ ათეულ ქულაზე მეტი სულ იოლად გაუხერხა.

დღის მესამე თამაშში ჯორჯ კარლის გუნდმა „მილუოკი ბაქსმა" ამ ცნობილი მწვრთნელის ძველი გუნდი „სიეტლ სუპერსონიქსი" დაამარცხა, რომელსაც ახლა აშკარა კრიზისის ხანა უდგას.

**ირაკლი ფირცხალავა**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ზურა ბიწაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

კოლეგები ღრმა მწუხარებით გიუწყებით, რომ გარდაიცვალა ცნობილი ტელეჟურნალისტი ზურა ბიწაძე და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს
დაკრძალვა სამშაბათს, 11 თებერვალს

სარბიელელები მწუხარებით გიუწყებით, რომ გარდაიცვალა ტელეჟურნალისტი ზურა ბიწაძე და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი



აი, ასე შემოელახა მარიო ლემიეს ფლორიდელი ბრედ ფერენსი

REUTERS

# ამხელა კაცი!
## მარიო ლემიემ ბიჭბუჭივით იჩხუბა

7 თებერვალი

**პიტსბურგი 0:6 ფლორიდა** *0:3 0:0 0:3*
0:1 მაიესკი (13), 0:2 ჰაგმანი (18), 0:3 ნილსონი (18), 0:4 ჰუსელიუსი (46), 0:5 კალენი (53), 0:6 იოკინენი (59)

„კიდევ ერთი ასეთი თამაში და მარიო ლემიეს პირველ ჩხუბისთავად ჩათვლიან" — იუწყება „პიტსბურგს პოსტი". თუ იფიქრებთ, ან თარგმანში შეეშალათ რაღაც, ანაც სახელსა და გვარშიო. შეცდებით, ეს სიტყვები ნამდვილად მარიო ლემიეს მისამართით ითქვა. მარიო ამ მატჩში ისე გაცეცხლდა, ასეთი არასდროს უნახავთ. თამაშის დასრულებამდე ხუთიოდე წუთი რჩებოდა, პიტსბურგის ლეგენდარული ფორვარდი ფლორიდელ ბრედ ფერენსს რომ ეტაკა. ეს უკანასკნელი გაოგნდა, ვერც კი გაიგო, რა ხდებოდა და სანამ მსაჯები საქმეში ჩაერეოდნენ, ბლომად მოხვდა მძიმე მუშტები. ვერც არბიტრების ჩარევამ დააშოშმინა სუპერმარიო — დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, საჯარიმო სკამზე რომ მიებრძანებინათ. ლემიე 29 წუთით დააჯარიმეს, რაც მისი პერსონალური რეკორდია. საერთოდ, მის ხანგრძლივ კარიერაში ეს მეხუთე ჩხუბია. ბოლოს იგი 16 წლის წინ გაცხარდა და მაშინ ვაშინგტონელი ბობი გულდის „ჰუკიც" მოხვდა.

და მაინც, რა დაემართა ყოველთვის თავშეკავებულ მარიოს, რამ დააკარგვინა წონასწორობა? როგორც მატჩის შემდეგ თქვა, ფერენსი წამდაუწუმ მალულად გამოსდებდა ხოლმე ყვანჯს, თავი მოაბეზრა და მოხვდა. ლემიესაც აევსო მოთმინების ფიალა. „ამას ყოველთვის აკეთებს. ამდენი ხანია, ვთამაშობ და კარგად ვიცი, ვინ ღირსეულად იბრძვის და ვინ ულირსად. რაკი მსაჯები ამაზე თვალს ხუჭავენ, ამიერიდან ასეთებს თავად გავუმკლავდები" — უკან არ დაიხია მარიომ.

ლემიე მხოლოდ ამ საწყენმა მარცხმა როდი დაბოღმა. ჩემპიონატის პირველ ნახევარში გაბრწყინების შემდეგ იგი დაილალა, მერე დაშავდა და ახლა ბომბარდირთა დავაში ქულითღა უსწრებს ვანკუვერელ მარკუს ნესლუნდს, თან მისმა გუნდმაც ჩაყვინთა ცხრილში. უსიამოვნებებს ფინანსური პრობლემებიც დაერთო, საერთო სურათს ამძიმებს პიტსბურგის საშინაო მატჩებზე შეთხელებული ტრიბუნებიც. აბა, რა ხასიათზე იქნება ლემიე, რომელიც ყველაფერთან ერთად, გუნდის მფლობელიცაა.

**დეტროიტი 0:1 კოლორადო** *0:1 0:0 0:0*
0:1 ტანგეი (18)

**ტამპა 2:3 ტორონტო** *1:1 1:0 0:1 0:1*
0:1 პოგლუნდი (12), 1:1 ფედოტენკო (19), 2:1 ანდრეიჩუკი (24), 2:2 რენბერგი (44), 2:3 ანტროპოვი (64)

ტამპას ვეტერანი დეივ ანდრეიჩუკი 1488-ე თამაშის ჩატარების შემდეგ ლიგის ისტორიაში მე-10 ადგილზე მყოფ უეინ გრეცკის გაუტოლდა.

**ბოსტონი 6:3 მონრეალი** *2:1 1:1 3:1*
0:1 ჩერკაუსკი (7), 1:1 აქსელსონი (9), 2:1 ლაპოინტი (19), 3:1 მიურეი (27), 3:2 ჩერკაუსკი (30), 4:2 ბოინტონი (44), 4:3 ფიუნი (48), 5:3 ვერნარსკი (58), 6:3 ტორნტონი (60)

**ოტავა 2:2 ფილადელფია** *2:1 0:1 0:0 0:0*
1:0 ხარა (7), 1:1 შუინარი (9), 2:1 უაიტი (16), 2:2 რეჩიკი (36)

**სენტ ლუისი 4:4 რეინჯერსი** *2:2 1:1 1:1 0:0*
0:1 პოლიკი (1), 0:2 სამუელსონი (9), 1:2 მარტინსი (10), 2:2 ტკაჩუკი (15), 3:2 დემიტრა (22), 3:3 მირონოვი (25), 4:3 ტკაჩუკი (53), 4:4 სამუელსონი (54)

**კალგარი 2:2 ჩიკაგო** *1:0 0:0 1:2 0:0*
1:0 იგინლა (8), 1:1 ოდელეინი (43), 1:2 კოლდერი (48), 2:2 დრური (48)

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 52 | 33 | 3 | 4 | 12 | 138:98 | 73 |
| ფილადელფია | 53 | 28 | 9 | 2 | 14 | 126:114 | 67 |
| აილენდერსი | 52 | 24 | 5 | 2 | 21 | 144:150 | 55 |
| რეინჯერსი | 57 | 21 | 7 | 2 | 27 | 146:178 | 51 |
| პიტსბურგი | 54 | 21 | 4 | 5 | 24 | 140:160 | 51 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 55 | 33 | 7 | 1 | 14 | 179:126 | 74 |
| ტორონტო | 54 | 29 | 4 | 1 | 20 | 153:132 | 63 |
| ბოსტონი | 53 | 27 | 5 | 2 | 19 | 159:139 | 61 |
| მონრეალი | 55 | 21 | 7 | 5 | 22 | 147:164 | 54 |
| ბუფალო | 51 | 15 | 7 | 4 | 25 | 110:134 | 41 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ვაშინგტონი | 55 | 25 | 7 | 3 | 20 | 158:150 | 60 |
| ტამპა | 54 | 22 | 7 | 5 | 20 | 148:152 | 56 |
| ფლორიდა | 54 | 16 | 10 | 8 | 20 | 124:160 | 50 |
| კაროლინა | 54 | 17 | 6 | 5 | 26 | 117:153 | 45 |
| ატლანტა | 52 | 18 | 3 | 4 | 27 | 143:186 | 43 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 55 | 28 | 8 | 4 | 15 | 176:142 | 68 |
| დეტროიტი | 54 | 27 | 9 | 2 | 16 | 154:133 | 65 |
| ჩიკაგო | 54 | 22 | 10 | 3 | 19 | 129:130 | 57 |
| კოლუმბუსი | 53 | 20 | 6 | 2 | 25 | 150:164 | 48 |
| ნეშვილი | 53 | 17 | 9 | 4 | 23 | 121:142 | 47 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 54 | 30 | 8 | 0 | 16 | 166:141 | 68 |
| ედმონტონი | 53 | 25 | 6 | 6 | 16 | 148:141 | 62 |
| მინესოტა | 53 | 26 | 8 | 1 | 18 | 128:117 | 61 |
| კოლორადო | 52 | 22 | 11 | 5 | 14 | 148:129 | 60 |
| კალგარი | 54 | 17 | 8 | 3 | 26 | 116:152 | 45 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 54 | 30 | 12 | 1 | 11 | 167:109 | 73 |
| ანაჰაიმი | 53 | 23 | 7 | 4 | 19 | 130:132 | 57 |
| სან ხოსე | 52 | 20 | 6 | 5 | 21 | 143:154 | 51 |
| ლოს ანჯელესი | 53 | 21 | 4 | 4 | 24 | 132:147 | 50 |
| ფინიქსი | 52 | 19 | 7 | 4 | 22 | 131:142 | 49 |

**ბომბარდირები:** ლემიე (პიტსბურგი) 69(20+49), ნესლუნდი (ვანკუვერი) 68(35+33), ტორნტონი (ბოსტონი) 66(25+41), იაგრი (ვაშინგტონი) 61(30+31), ბერტუცი (ვანკუვერი) 61(29+32), მიურეი (ბოსტონი) 60(28+32), კოვალიოვი (პიტსბურგი) 60(25+35), მოდანო (დალასი) 60(21+39), ალფრედსონი (ოტავა) 57(21+36), ფორსბერგი (კოლორადო) 57(17+40), ჰეიდუკი (კოლორადო) 56(25+31), დემიტრა (სენტ ლუისი) 56(19+37), უეიტი (სენტ ლუისი) 55(11+44), მოგილნი (ტორონტო) 54(22+32), ჰოსა (ოტავა) 53(33+20)

# მძიმე ბიჭები



REUTERS ფილადელფიიდან

ამჯერად საჩემპიონო არა, მაგრამ მაინც დიდი ბრძოლა გაჩარხა დონ კინგმა. 29 მარტს ფედერაციის (იბფ) სარეიტინგო კრივში ერთმანეთს ფედერაცია-საბჭოს ყოფილი ჩემპიონი ჰასიმ რაჰმანი და დევიდ ტუა ერთმანეთს შეებრძოლებიან. ამათ შორის გამარჯვებული კი, რა თქმა უნდა, საჩემპიონო ბრძოლის პრეტენდენტი იქნება. ამასობაში კი ლას ვეგასში ვარჯიშობს მაიკ ტაისონი, რომელიც 22 თებერვალს მემფისში შეხვდება კლიფორდ ეტიენს. მაიკი კეთილად ებასება „ოქროს თათმანის" დარბაზში შეკრებილ კრივზე მწერლებს, ტანზე კი გლაზგოდან წამოყოლილი საფეხბურთო მაისურა მოურგია.



REUTERS ლას ვეგასიდან

# კვლავ ქვანჯით

პიბლ ბიჩზე პროფესიონალ მეგოლფეთა ტურნირი გახურებულა: „სფაიგლას პილ გოლფ ქორზი". იქ ყოველ პროფესიონალს მოყვარული მეწყვილეც ჰყავს. მეგოლფე მაიკ ვეირს ისეთი მოყვარული ახლავს, რომ თქვენი მოწონებული: ჰოკეის „დიადი ვინმე" უეინ გრეცკი თავის დარტყმულ ბურთს აყოლებს თვალს. ცხადია, გოლფის ყვანჯი ჰოკეის ყვანჯისგან დიდად განსხვავდება.


REUTERS პიბლ ბიჩიდან



REUTERS მანჩესტერიდან

# ბავშვთა ჩაგვრის წინააღმდეგ

„მანჩესტერ იუნაიტედი" ბავშვთა ჩაგვრის წინააღმდეგია. ცხადია, ჩვენც ყველანი წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ საფეხბურთო კლუბი ჩვენზე აქტიურად ჩართულა სამწლიან პროგრამაში, რომელსაც მიზნად ბავშვთა ჩაგვრის მოსპობა განუზრახავს: რიო ფერდინანდი, რუდ ვან ნისტელროი, დევიდ ბექჰემი, სერ ალექს ფერგიუსონი, მიკაელ სილვესტრი, კვინტონ ფორჩუნი და ოლე გუნარ სოლსკიაერი „იუნისეფის" ამ პროგრამის პოპულარიზაციას უწყობენ ხელს და „ოლდ ტრეფორდზე" მისულ ბავშვებთან ერთად გვიღიმიან.

## ფეხბურთი

### საფრანგეთი

II დივიზიონი
XXVI ტური

რეიმსი 3:2 ლავალი

### პორტუგალია

I ლიგა. XXI ტური

სანტა კლარა 1:1 ბოავიშტა

### ბელგია

I. დივიზიონი. XXI ტური

გენკი 5:4 მუსკრონი

### გერმანია

II ბუნდესლიგა
XX ტური

ბურგჰაუზენი 1:1 დუისბურგი

ვალდჰოფი 1:5 მაინცი

როიტლინგენი — ბრაუნშვაიგი

გადადო

### იტალია

სერია B
XXII ტური

ჯენოა 2:0 კატანია

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XIX ტური

ზვოლე 0:3 ტილბურგი

მეორე დივიზიონი
XIX ტური

ოსი 0:0 ვეენდამი

მაასტრიხტი 2:3 ეინდჰოვენი

სიტარდი 1:1 სპარტა

ემენი 2:0 ვოლენდამი

ჰერაკლესი 1:0 ვენლო

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge